F1294
1921

ხელნაწერის უფლებით.

თავისუფალი საქართველო

№ 9—10. 30 სექტემბერი, 1921 წელი. № 9—10.

ამ ნომერში 24 გვერდია.

ბოლშევიკები აღმოსავლეთში

საქართველოს დაპყრობას მოსკოვის ყაჩაღები თავის აღმოსავლეთის პოლიტიკით ხსნიან. ჩვენ გვინდა დაჩაგრული აღმოსავლეთის განთავისუფლება ევროპის იმპერიალისტებისაგან, და საქართველო უნდა დაგვეპყრო, როგორც ამ იმპერიალისტების ბაზა და იგი ჩვენთვის გამოგვეყენებინაო, აცხადებენ ისინი.

ამ უბადრუკ აზრს სამწუხაროთ კიდევ ყავს დამჯერე ჩვენში და ევროპაშიაც კი.

იტალიის სოციალისტებმა მაგ. ამგვარი შინაარსის წერილი მოათავსეს ამას წინეთ გაზ. «ავანტი»-ში, საქართველოში კი ბოლშევიკების დაქირავებული თ. ღლონტის კალამი თავიდანვე ამ ჰანგზე წრიპინებდა.

რევოლიუციური ენტუზიაზმი ხშირათ იტაცებს ადამიანს, რევოლიუციური ფრაზა აბრუებს და თავისკენ იზიდავს. ბოლშევიკები კი ენტუზიაზმით და რევოლიუციური ფრაზეოლოგიით განთქმული არიან. ცხადია ამიტომ მათი ამ დებულების კბილების გასინჯვა და მოსკოვის აღმოსავლეთურ პოლიტიკის გამოაშკარავება ზედმეტი არ იქნება. მით უმეტეს, რომ ეს პოლიტიკა დღეს მეტათ აქტუალურია და მისი მომავალი და ავკარგი ბევრში ჩვენი ერის ბედ-იღბლის გადამჭრელია.

რას წარმოადგენს აღმოსავლეთის პოლიტიკა ბოლშევიკებისა?

რამ გამოიწვია იგი? როგორი შედეგების მოტანა შეუძლია?

აი კითხვები, რომელიც ყოველ ჩვენგანს აინტერესებს. რუსეთისთვის აღმოსავლეთი მუდამ იმპერიალისტურ ზრახვათა საგანი იყო. ევროპისგან ძლიერი სახელმწიფოებით შეზღუდული, იგი აქეთ ფიქრობდა გაფართოვებას და ახალ-ახალ კოლონიების მოპოებას.

ბოლშევიკური რუსეთიც ამავე გზას ადგია. მაგრამ იგი ახლა დაპყრობის ნაცვლათ ერთა განთავისუფლების ლოზუნგს აყენებს და ამით რევოლიუციურ მანტიაში ეხვევა.

მართლაც წინა აზია საერთოთ ევროპის კოლონიას წარმოადგენს. ამ უკანასკნელ ომის შემდეგ ოსმალეთის დაყოფამ ასეთ კოლონიათა ტერიტორია კიდევ უფრო გააფართოვა და ამით ევროპის კაპიტალს ახალი, ფართო სამოქმედო ასპარეზი გაუჩინა.

ამ კოლონიების განთავისუფლება და მათი საკუთარ ფეხზე დაყენება, სოციალისტურ ლიტერატურაში აღიარებულია, როგორც ევროპის ბურჟუაზიის მსოფლიო ბატონობის დამხობის უძლიერესი საშვალება და ამით საშვალება მისი საერთო დამხობის მოახლოვების. მაშასადამე იგი უაღრესათ სოციალისტური ზომაა. მაგრამ როგორ შეიძლება ამ ზომის განხორციელება?

ევროპის სოციალისტური აზრი ამის შესახებ ერთსულოვნათ უპასუხებს, რომ ეს მოხდება მხოლოდ ამ ქვეყნების შინაგანი განვითარებით, მათი კულტურული ამაღლებით. ევროპის კაპიტალი, რომელიც აქ აწყობს რკინის-გზებს, აარსებს ქარხნებს და აჩაღებს წარმოებას, ამით თვით უწყობს ხელს ამ ქვეყნების გამოფხიზლებას, თვით სჭრის იმ ხეს, რომელზედაც ზის და ამზადებს თავის მესაფლავეს. მართალია მძიმე მსხვერპლით, საშინელ ექსპლოატაციით, მაგრამ კაპიტალს მაინც შეაქვს გაევროპიელება იქ, სადაც იგი შეიჭრება, თუ ერში რამდენიმეთ მაინც არის შესაძლებლობა ევროპის კულტურის შეთვისების. და რამდენათაც ეს პროცესი ერის გაევროპიელების წინ მიდის, იმდენათ ევროპის კაპიტალისტური ბატონობის საფუძველი შეირყევა და კოლონიები დამოუკი-

F8343
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული

დებლობას მოიპოვებენ ისე, როგორც მოიპოვა ის ჩრდილო ამერიკამ 140 წლის წინეთ.

ამიტომ ჩვენ ვებრძვით არა კაპიტალის შემსვლას აზიაში, არამედ მხოლოდ მის უარყოფით, დამარღვეველ მხარეებს, რომ ამით დავაჩაროთ და რაც შეიძლება ნაკლები ტკივილებით გავატაროთ ეს აუცილებელი ხანა გაევრეპიელების.

ბოლშევიკები კი აცხადებენ, რომ მათ სურთ დღესვე, დაუყონებლივ, აზიის ერების სოციალიზმის სამეფოში გადაბარგება.

მარა შეუძლიათ მათ ეს?

მართლა ამ მიზანს ემსახურება იგი?

რასაკვირველია არა. ბოლშევიზმი ამასაც ისე განახორციელებს, როგორც რუსეთში დაამყარა სოციალიზმი.

ამის დასამტკიცებლათ საკმარისია განვიხილოთ, თუ რა ამოქმედებს რუსეთის კომუნიზმს და რა უძევს საფუძვლათ მის მოძრაობას.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ბოლშევიზმი წარმოიშვა, როგორც სამხედრო დიქტატურა და დღემდე ასეთივე დარჩა. იგი ერთიანათ ჯარს ეყრდნობა და მითი სულდგმულობს. მაგრამ საიდან წარმოსდგა ეს ჯარი? ვინ ასაზრდოებს მას. ვინ იძლევა მის კონტინგენტს?

ეს არის უმთავრესათ ველიკოროსია.

რევოლიუციამდე იგი აძლევდა ტონს რუსეთის პოლიტიკას. იგი იყო ერი მპყრობელი ხოლო დანარჩენები კი მის ინტერესებს ექვემდებარებოდა. და კავკასია, თურქისტანი, ყაზახთა ოლქები, უკრაინა და ციმბირი მოწოდებული იყვენ მის სასამსახუროთ.

ველიკოროსია ნიადაგით მწირია. ამიტომ აქ მალე მოიკიდა ფეხი საოჯახო წარმოებამ და ამ ნიადაგზე აშენდა ფაბრიკა-ქარხნული წარმოება. მოსკოვის რაიონი და ურალი იყო ორი უმთავრესი ცენტრი წარმოების მთელ რუსეთში, რომელიც იზიდავდა თავისკენ რუსეთის დანარჩენ კუთხეების ნედლ მასალას. მარა წარმოების საეროთ განუვითარებლობის გამო ყველა მცხოვრებთ ადგილობრივ გამოკვება მაინც არ შეეძლოთ და ამიტომ ველიკოროსია იძლეოდა დიდძალ ემიგრაციას ყველა განაპირა ადგილებში, რომელნიც ცენტრის პოლიტიკური ბატონობის გამტარებელი იყვენ ადგილობრივ.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ ველიკოროსია იყო საწარმოო ცენტრი დანარჩენ კუთხეებისათვის. ამიტომ რუსეთის რევოლიუციის ბედიც სწორეთ ამ ცენტრებში გადაწყდა. იქ დაიმხო ცარიზმი. იქ გაბატონებით მოიპოვა შთელი რუსეთის მფლობელობა ბოლშევიზმმა.

მაგრამ ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ისედაც დაცემული წარმოება სულ განადგურდა, ხალხი უსაქმოთ დარჩენილი სიკვდილის აჩრდილის წინ დადგა და აი იგი ეძებს გამოსავალს.

ხოლო ეს გამოსავალი ისტორიულათ უკვე განსაზღვრულია: განაპირა ქვეყნების დაპყრობა, მათი ეკონომიური ექსპლოატაცია. წინეთ მოსკოვი მფარველობითი პოლიტიკით და ნაწარმოებების გაცვლის საშვალებით იღებდა თურქესტანის ბამბას, ბაქოს ნავთს, უკრაინის პურს და სხვ. დღეს გასაცვალი მას აღარაფერი აქვს და ყოველივე ეს უნდა წაიღოს ძალით, თავის ბატონობის საშვალებით. კომუნიზმი კი ამისთვის უებარი საშვალებაა. მისი თეორია ქონების განაწილების ველიკოროსიისთვის სულზე მისწრებაა.

ამიტომ იგი საკმაოთ იძლევა კონტინგენტს წითელი ჯარისთვის და დამზადებულ ბრძოლის იარაღებს. საინტერესოა, რომ თითქმის ყველა სხვა ქარხნების დახურვის მიუხედავათ, სამხედრო ქარხნები ამ რაიონში მაინც მოქმედებენ და ჯარს იარაღს აწვდიან. მხოლოდ საზრდო ჯარმა თვით უნდა მოიპოვოს—ეს მისი დანიშნულებაა. და უნდა მოიპოვოს არა მარტო თავისთვის, არამედ ოჯახისთვისაც, ერთი სიტყვით ველიკოროსია უნდა გამოკვებოს.

ამ რიგათ იგი წინეთ ეკონომიურათ გაბატონებული, დღეს მშრალი ძალით ბატონობას ეძებს და ამისთვის იარაღს ეყრდნობა. უკანასკნელმა დამშევამ, რომელიც სხვათა შორის, ამ ჯარის გამოკვების და რჩენის ნიადაგზე აღმოცენდა, თვით ჯარში ჩაწერა კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს, ვინაიდან ჯარი ერთათ-ერთ გზაა დანარჩენ კუთხეებიდან რაიმეს მოკრების. თვითონ ის ნებით აძლევდა ჯარსა და მთავრობას ყოველივეს და გაღატაკდა. და ახლა სურს დანარჩენი მხარეების ქონება კომუნისტურათ გაინაწილოს. საფრანგეთის ჯარი ნაპოლეონის დროს უცხო დაპყრობილ ქვეყნებში აგროვებდა სიმდიდრეს, ბოლშევიკებს ასეთი დაპყრობის ძალღონე არ აქვთ და მათ ნაცვლათ შინა-

ურებს ესხმიან თავს ძერასავით და ცარცვავენ.

და მართლაც ამ გაძარცვას ვხედავთ ჩვენ უკრაინაში, ყაზახთა ოლქებში, სადაც სურსათის წართმევის ნიადაგზე ხდება სასტიკი ბრძოლა და შეტაკებები.

ცხადია ასეთი ჯარი—არის არა განმათავისუფლებელი არამედ გამძარცველი. და აზიის ერებში მისი შესვლა იქნებოდა არა მათი დახსნა, არამედ განადგურება. ეს კარგათ იცის თურქესტანმა, საქართველომ, აზერბეიჯანმა და ჩრდილო სპარსეთმა, სადაც წითელი ჯარის თარეშმა ხალხი უკიდურესობაში ჩააგდო.

ცხადია რევოლიუციური ლოზუნგები აღმოსავლეთისკენ გადასროლილი, მხოლოდ ცარიელი სიტყვებია ამ საშინელ იმპერიალისტურ-ეაჩაღური ზრახვების განსახორციელებლათ.. ამიტომ არის, რომ სპარსეთიდან მას თვით ხალხი პირველ შესაძლებლობისთანავე ერეკება, ხოლო ანატოლიაში მეგობარი ქემალი, წამლათაც არ უშვებს, შინაურ კომუნისტებს წუთისოფელს ასალმებს.

თვით რუსეთის რევოლიუციაც, რომლის მემკვიდრეობას ჩერობენ ბოლშევიკები, ვერ პოულობს შესაფერ გამოძახილს აღმოსავლეთის ქვეყნებში. ცნობილია, რომ ერთი ქვეყნის გავლენა მეორეზე განისაზღვრება მათი ეკონომიურ-სოციალური ურთიერთობის მსგავსებით. რუსეთი კი მიუხედავათ თვის ნახევრათ აზიურობისა, დიდათ დაშორებულია აზიის იმ ხალხების ეკონომიურ ცხოვრებასთან, რომლებშიც მას რევოლიუციის გამოწვევა თითქოს მიზნათ დაუსახავს. საფრანგეთის დიდ რევოლიუციას შექონდა თავისი სხივი ევროპის სხვა სახელმწიფოებში, სწორეთ იმიტომ, რომ მისი გადაჭრილი პრობლემები ყმათა განთავისუფლების და სხვ. იქაც დღიურ წესრიგში იყო, მაგრამ მან მაშინ ვერ შეარყია რუსეთი, რომელიც ამ მხრივ მეტათ ჩამორჩენილი აღმოჩნდა.

ასეთივე ურთიერთობაა დღევანდელ რუსეთსა და მის გარეშემო მყოფ აზიურ ხალხებ შორის. მათი რევოლიუციაში ჩათრევა რუსეთს არ შეუძლია.

ამას გრძნობს თვით მოსკოვიც, და ამიტომ აღმოსავლეთის კომუნისტებს მუსულმანთა ხოჯებთან, ბეგებთან, ხანებთან, ემირებთან კავშირის დაჭერას უკარნახებს. ამით კომუნიზმი, როგორც მოძღვრება თვით იჩოქებს მათ წინაშე და თავის «რევოლიუც.» დოქტრინაზე ხელს იღებს.

მაგრამ იგი გადაკეთებული და შეთითხნილი სახითაც მიუღებელია აღმოსავლეთისთვის.

აღმოსავლეთის ერებს მოსწონთ ლოზუნგი ევროპის კაპიტალისტებისაგან განთავისუფლების, მაგრამ რუსის ხიშტების მიღება მათ მაგივრათ ყოვლად შეუძლებლათ მიაჩნიათ. აქედან წარმოსდგება პოლიტიკა ქემალის, ავღანის ემირის, ქუჩუკხანის და სხვ.

ისინი იღებენ სიამოვნებით დახმარებას ბოლშევიკებისგან, მაგრამ ბრძოლას აწარმოებენ თვითონ, თავის გზითა და საშვალებებით. ამიტომ ბოლშევიკების ექსპედიცია ინდოეთისკენ, გინდ კონსტანტინოპოლისკენ, რომელსაც იგინი ქადაგებენ ჯარში, განუხორციელებელი ოცნებაა. იგი თავშივე დამხობას მოუტანს თვით რუსეთს და მის მხედრობას განადგურებას.

ბოლშევიკებს ამიტომ დარჩენიათ ისარგებლონ აღმოსავლეთის მღელვარებით ევროპის ბურჟუაზიაზე გავლენის მოსახდენათ. ამ მხრივ მათი უდიდესი მიღწევა იყო ინგლისთან ხელშეკრულობა, რომელმაც ერთხანს გაამაგრა საბჭოთა ავტორიტეტი რუსეთში. მეტი «გამარჯვება» ამ ასპარეზზე მათ ბედის წიგნში არ უწერიათ... პირ-იქით ეს ხელშეკრულებაც უკვე დაშლაზეა მიმდგარი. ხოლო აღმოსავლეთის ხალხებთან მათი დიპლომატია ვერ სჭრის. მაგალითათ ქემალის მოსამხრობათ და მეგობრობის ფორმის შესანარჩუნებლათ ისინი იძულებული არიან მას ფული აძლიონ, იარაღი უზიდონ და თან ყოფილი რუსეთის ტერიტორიიდან ისეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები დაუთმონ, როგორიცაა: ყარსი, არტაანი და სხვ.

ამით აშკარავდება ბოლშევიზმის სრული უძლურება თვით აღმოსავლეთის საკითხში.

ამ მხრივ საქართველოს დაპყრობით მათ თავის შესაძლებლობის უმაღლეს წერტილს მიაღწიეს და აქედან უნდა დაიწყოს ხანა მათი ღეგრადაციის, დაშლის, დარღვევის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა ლიგა და ბალტიის სახელმწიფოები.

ესტონია, ლიტვა და ლატვია მიიღეს ერთა ლიგაში უკანასკნელ სხდომაზე, რომელიც ეკენისთვეში მოხდა.

ეს ფაქტი მეტათ მნიშვნელოვანია საერთოთ რუსეთისთვის და კერძოთ საქართველოსთვის. იგი ბევრი რამის მაჩვენებელია დღევანდელ ევროპის პოლიტიკურ წრეებში გაბატონებულ სულიერ განწყობილების შესახებ. ცნობილია, რომ პოლონეთსა და ფინლანდიის გარდა, რომელთა ჩამოშორება ყველასათვის უდავო იყო, ევროპის სახელმწიფოები ეწინააღმდეგენ დანარჩენ სახელმწიფოებრივ ერთეულებს, რომელნიც ლი რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენდენ.

დიდხანს მათი ფაქტიური და იურიდიული ცნობა არ უნდოდა ევროპის დიდ სახელმწიფოებს. ამერიკა ამ უკანასკნელ ხანებამდეც არ ფიქრობს ევროპის გზას გასდიოს. იგი ახლაც დიდი და მთლიანი რუსეთის პრინციპს ადგია და ამით უნდა მომავალ რუსეთის მართველობის გული მოინადიროს და სიმპატია მოიპოვოს, რაც მას დიდათ ესაჭიროება იაპონიასთან მოსალოდნელ კონფლიქტში და ეკონომიურ შეჯიბრებაში შორეულ აღმოსავლეთის ტერიტორიაზე.

მაგრამ ბოლოს ევროპა იძულებული გახდა ფაქტისთვის ანგარიში გაეწია და ეს სახელმწიფოები ეცნო. ამ წლის დამდეგს ისინი საქართველოსთან ერთათ აღიარებულ იქნენ იურიდიულათ. ამით დაიწყო ერთგვარი პრაქტიკული გადაჭრა რუსეთის მთლიანობის პრობლემის. ხოლო ერთა ლიგაში მიღებამ ეს ნაბიჯი დაადასტურა და მას მკვიდრი ხასიათი მისცა. ერთა ლიგის წევრები, როგორც ვიცით ერთგვარ გარანტიას აძლევენ ურთიერთს ყოველივე თავდასხმისაგან. და ამიტომ ლიგაში მიღება ამ სახელმწიფოებისა ნიშნავს იმას, რომ მათზე თავდასხმა მთელ ლიგაზე თავდასხმათ ჩაითვლება და დაფარვა მათი ლიგის ყველა წევრების ვალი იქნება.

ეს კი პატარა სახელმწიფოებისთვის დიდი იმედია და მათი თვითარსებობის განმამტკიცებელია. ის, რასაც ადგილი ქონდა საქართველოს მიმართ ბოლშევიკური ოკუპანტების მხრივ, ბალტიის სახელმწიფოების მიმართ ერთი ორათ გაძნელებულია. ასეთი თავდასხმა ამ ახალ რესპუბლიკებზე იქნებოდა აუცილებლათ ევროპიული ომის გამოწვევა.

მარა ხალხთა ლიგის ნაბიჯს აქვს მეორე მხარეც. ამით რუსეთის მთლიანობის საკითხი სამუდამოთ დამარხულია.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთა ლიგა ბოლოს და ბოლოს ევროპის გამარჯვებულ სახელმწიფოთა პოლიტიკური ტენდენციების გამომხატველია, და მათი ძირითადი პოლიტიკის მატარებელია. ამიტომ ლიგის ეს ნაბიჯი შეიძლება ევროპის დღევანდელ მბრძანებელთა პოლიტიკურ ნაბიჯათ ჩაითვალოს.

რუსეთის პრობლემის მთლიანათ დასმა ვერ მოახერხა უმაღლესმა საბჭომ. სამაგიეროთ ის ისმება ნაწილობრივ და წყდება ამა თუ იმ ერთა სასარგებლოთ.

ამის შემდეგ, საქართველოს საკითხიც, რომელიც დღეს მთელი ევროპის ყურადღების საგნათაა გადაქცეული, ეჭვებს აღარ უნდა იწვევდეს. საქართველო, ცნობილი იურიდიულათ, რუსეთის წიაღში დაბრუნებული არ იქნება. და მხოლოდ ოკუპანტების დღევანდელი თარეში უშლის ხელს მის ლიგაში მიღებას. რუსეთმა კი სამუდამოთ უნდა მაზე ხელი აიღოს.

პრესა.

რუსეთის ემიგრაცია ევროპაში ათას ჯგუფებათ არის დაყოფილი, და თვითეული თავის გაზეთს სცემს. ბ-ნი ბურცევი, ძველი რევოლიუციონერი, ჯაშუშების ცნობილი მამხილებელი, დღეს უკვე მონარქისტთა წრეებს უკმევს გუნდრუკს და თავის გაზეთ «ობშჩეე დელო»-ში ქვას და გუნდას აყრის ძველ თავის თანამოაზრეებს და მასთან ერთათ ყველა პროგრესიულ წრეებს.

არ ივიწყებს რასაკვირველია საქართველოსაც. მისი დაცემის ხანებში მისი გაზეთი სიხარულით ცას ეწეოდა, რომ ბოლშევიკებმა ეს დემოკრატია მოსპეს და ურჩი საქართველო ისევ რუსეთს დაუბრუნეს.

ამ უკანასკნელ ხანს ამ გაზეთში დაიბეჭდა კორესპონდენცია ბათომიდან, რომლიდანაც გვინდა მოვიყვანოთ ორიოდე ამონაწერი:

«ფაქტიურათ ბათომი ოლქით—ნაწილია საქართველოსი და საბჭოთა რუსეთის პროტექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორატის ქვეშ, იურიდიულათ კი შეთანხმების ძალით აჭარის ოლქი ბათომით ავტონომიური საქართველოსგან დამოუკიდებელი ნაწილია, რუსეთის საბჭოთა მთავრობის პროტექტორატის ქვეშ. უკანასკნელი დეკრეტით (27 ივლისი 1921 წ.) აჭარას განაგებს სამოქალაქო ცხოვრებაში—მეჯლისი, სამხედროში ბოლშევიკურ-კომუნისტური საქართველო საბჭოთა რუსეთის საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ. ამიტომ ბათომში პარალელურათ მოქმედებს რუსული და ქართული დაწესებულებები და აჭარის მეჯლისი, საქმის წარმოება ყველგან რუსულ ენაზეა»...

ქართველების დამოკიდებულების შესახებ ბოლშევიკებთან გაზეთი სწერს:

«ანტაგონიზმი (წინააღმდეგობა) ადგილობრივ მცხოვრებლებსა და რუსულ ბოლშევიკებს შორის უმაღლეს წერტილამდეა მისული. რუს კომუნისტს, წითელ არმიელს ქართველი წყალსაც არ დაალევინებს. ქალ. ხონში, ქუთაისის მახლობლათ, ბოლშევიკური ბატარეა ტანტალის ტანჯვას განიცდის სურსათის მხრივ».

მაშ ასე. ნაციონალისტ კორესპოდენტს გონია რომ საქართველოს სძულს ბოლშევიკები განსაკუთრებით მიტომ, რომ ისინი რუსებია. რომ მათ არა ნაკლებ სძულთ ქართველი მოღალატენი—ამაზე იგი კრინტს არ სძრავს. კაცი იფიქრებს, თითქო ეს უკანასკნელნი კი მეგობრებათ მიაჩნდეთ. მით უმეტეს საკვირველია, როცა რამდენიმე სტრიქონით ქვევით იგივე ავტორი გაბედულათ აცხადებს:

«აღმოსავლეთ საქართველოში ქართველები ძველი რუსული მთავრობის მონატრული არიან და უცდიან მომენტს, რომ შეუერთდენ მას; უფრო მემარცხენეობენ მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ქართველები.. ესაა იმერლები, რომელნიც წარსულით ცხოვრობენ, როცა მფლობელის თვითნებობა იყო კანონათ მათთვის და მათი ხელქვეითებისთვის. ასეთი წვრილი «კნიაზკები» აქ ათიათასობით ითვლება და ეს ხურდა ხალხი მეფობს ხალხზე ტეროორის საშვალებით, რადგან ძალა-უფლება აქვს ხელში ჩაგდებული, მაგრამ მოახლოვებულია მათთვის ჟამი ანგარიშის მოთხოვნის. აჭარლები მასსიურათ იხრებიან რუსეთისკენ, მაგრამ არა კომუნისტებისკენ, რადგან კომუნიზმი ვერ უთავსდება ისლამს. ახლა—ოსმალეთისკენ მიიწევენ, მაგრამ ძლიერი რუსული მართველობა (არა დღევანდელი) გადმოხრის ჩვენი (რუსული. მეპ.) ინტერესების სასარგებლოთ როგორც აჭარლებს, ისე მთელ ამიერ-კავკასიის მცხოვრებლებს». («ობშ. დელ.» № 423. 13 სექტ.)

ერთი სიტყვით. რუსები სძულთ, კომუნისტები სძულთ, მაგრამ თუ მეფის რუსეთი დაბრუნდება, სიხარულით მიიღებენო...

ჯალბი და ულოდიკო იმედია! ქართველი ხალხი სამუდამოთ დაშორდა რუსეთის ორიენტაციას, გაიცნო მთელი მისი სიყელურე და ის ახლა ევროპისკენ ეძებს განათლების და წინმსვლელობის ფაქტორებს...

ამხ. სამსონ ბილაძე

საქართველოდან ჩამოსულებმა მეტათ სამწუხარო ამბავი გადმოგვცეს: სექტემბრის პირველ რიცხვებში თფილისში მოულოდნელათ გარდაიცვალა ამხ. სამსონ ბილაძე, წამლის უქონლობის გამო მას ექიმებმა დახმარება ვერ აღმოუჩინეს და ამხ. სამსონი ხელიდან გამოგვეცალაო. სტამბოლში მყოფ მის ამხანაგებს პირველათ ეს ცნობა არ გვინდოდა დაგვეჯერებია, გვინდოდა, რომ იგი ტყვილი გამოსულიყო, მარა სამწუხაროთ გამართლდა.

ჩვენ დღესაც არ ვიცით დანამდვილებით, თუ რა იყო ამხ. სამსონის ასე მოულოდნელი სიკვდილის მიზეზი. ნუ თუ ბოლშევიკებმა ისე გაძარცვეს საქართველო, რომ იქ წამალიც აღარ იშოვება! ჩვენდა საუბედუროთ, ეს ასეა.

საქართველოს მოქალაქენი, გარდა კომუნისტებისა და კომისრებისა, მშიერ-შიშველნი და ყოველ საექიმო დახმარებას მოკლებულნი, მიცემულნი არიან პირდაპირ სიკვდილის პირში და დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ თუ კიდევ დიდხანს გაგრძელდა კომუნისტების ბატონობა საქართველოში, ამხ. სამსონი პირველი და უკანასკნელი არ იქნება. ჩეკაზე არა ნაკლებ მოთიფავს სიკვდილი თავის ცელით ჩვენს ხალხს. და გაიხარებენ მახარაძე-მდივანი-ორახელაშვილები, მარა დიდი ხნით ვერა. ჩვენი ხალხი ვერ შეურიგდება მათ ჯალათობას და თავის დროზე ერთი-ორათ მიუზღავს სამშობლოს დამაქცევართ.

ამხ. სამსონი ეკუთვნოდა მესამე დასის ჯგუფს.

იგი ჯერ კიდევ სემინარიის მოწაფე იყო, რომ მესამე დასელებს დაუახლოვდა და მერმე მას ერთი წამითაც არ გაშორებია. წენარი, ბუნებით სპეტაკი და პარტიის ფანატიკოსი, მთელ თავის ძალ-ღონეს პარტიას სწირავდა. ამხ. სამსონისთვის პარტიასა და მის მუშაკებზე უფრო უსაყვარლესი ქვეყანაზე არაფერი იყო. იგი აკეთებდა ყველაფერს, რაც კი შეეძლო, მარა ის ამის შესახებ არ ლაპარაკობდა. ჩუმათ და წყნარათ ასრულებდა პარტიის დავალებებს და არ გაურბოდა პატარა საქმესაც კი. თავდავიწყებით უყვარდა საერთო საქმე, პარტია და მისი მუშაკნი, მარა საშინლათ სძულდა ისინი, რომლებიც თავისი მოქმედებით საზოგადო საქმეს ვნებას უტანდენ და პარტიას ჩირქს სცხებდენ. ყველაფერს გაპატივებდა იგი, მარა პარტიის შეურაცხყოფას არა. პარტიის ფანატიკოსს, პარტიის ორგულნი სძულდა და ეჯავრებოდა. უკანასნელათ სულ მას სჩიოდა, რომ ჩვენს პარტიას ბევრი გამველი ხალხი აეკიდა და შეიძლება მათ დიდი ვნება მიაყენონ მასო. მას არა ერთხელ მოუგონებია ის «კარგი ხანა», როცა პარტიაში მარტო რჩეულნი და თავგანწირულები მუშაობდენ და უთქვამს—ის დრო სჯობდაო.

ამ «კარგ ხანაში» ამხ. სამსონს თვეები და წლები გაუტარებია ციხეში. მეფის ჟანდარმერია მას კარგათ იცნობდა და ამიტომ ძვირი იყო ისეთი წელიწადი, რომ მათ იგი არ დაეჭირათ. გარდა ამისა, მათ უნდოდათ გაეხადათ სხვებთან ერთათ იგიც «ყვირილის პროცესის» მონაწილეთ, მარა ამის დამამტკიცებელი საბუთები ვერ იშოვეს. მიუხედავათ ამისა, მაინც დიდხანს ამყოფეს ციხეში.

1917 წ. 27 თებ. ყველა ამბავს ბოლო მოეღო. და ალბათ ამხანაგს ვერც კი წარმოედგინა, რომ მეფის ჯალათებს მოვიშორებდით თავიდან და ბოლშევიკების სახით მოვიდოდენ ახალი ჯალათები, რომლებიც ეავსებდენ ამ ციხეებს ისევ ჩვენი ამხანაგებით.

უკანასკნელათ ამხ. სამსონს ბათომში დავშორდი. იგი ძლიერ დაღონებული იყო მომხდარი ამბების გამო, თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ საზღვარ-გარეთ წასულ ამხანაგებს ველარ ნახავდა. სამაგიეროთ ძლიერ უხაროდა, რომ ამხანაგების დიდი უმეტესობა დარჩა საქართველოში. მას არ სწამდა მტრის დიდი ხნით ბატონობა და იმედიანათ შეეგებებოდა მომავალს. სამწუხაროთ ამხანაგი ვერ მოესწრო ამ ბედნიერ დღეს. იგი გაგვშორდა მაშინ, როცა მტერი ისევ ჯალათობს, როცა ჩვენი საუკეთესო ამხანაგების ერთი ნაწილი ციხეში სხედან, ხოლო მეორენი გადახვეწილნი არიან სამშობლოდან.

და დარწმუნებული ვარ, რომ სიკვდილის წინ, ამხ. სამსონისთვის ყველაზე უფრო ძნელი ამის მოგონება იყო. მას ყველაზე უფრო სტანჯავდა ის, რომ ამხანაგებს ხელოვნურათ მოწყვეტილი ეთხოვებოდა წუთისოფელს.

მარა არა ნაკლებ იტანჯებოდენ მისი ამხანაგები, რომელთაც საბჭოთა მთავრობამ უბრალო სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვის უფლებაც არ მისცა. სჩანს, რომ საქართველოს დღევანდელ დიქტატორებს მიცვალებულებისაც კი ეშინიათ!

მშვიდობით ამხანაგო სამსონ! შენი სახე და ხსოვნა დაუვიწყარი იქნება ამხანაგებისთვის.

კაუი.

საქართველო და ევროპა.

ბოლშევიკები ყიდიან საქართველოს.

საქართველოს «საბჭოთა მთავრობის» წარმომადგენლებმა ხელშეკრულება დადვეს გერმანიის კაპიტალისტებთან, რომლის ძალით ამ უკანასკნელთ გადაეცათ საქართველოს ტყის სიმდიდრის დამუშავება. ეს კონცესია მიეცათ მათ 40 წლის ვადით.

მოყავს რა ეს ცნობა ბერლინელ «ფორეერტს», შენიშნავს, რომ გერმანელმა კაპიტალისტებმა დაამტკიცეს—როცა ისინი დათანხმდენ საქართველოს ხალხის დამმონებელ და შემვიწროებლებთან ლაპარაკს, რომ ისინი სრულიად მოკლებულნი არიან ზიზღის გრძნობას.

ეს საკონცესიო ხელშეკრულება დამაფიქრებელია: გასაგებია, რომ ბოლშევიკები იჩქარიან, რაც შეიძლება ადრე გაყიდონ საქართველოს სიმდიდრე, ისე როგორც ისინი ყიდიან რუსეთის სიმდიდრესაც: ყოველი ყაჩაღი ცდილობს რაც შეიძლება ადრე გაუშვას ხელიდან ნაქურდალი და წანაგლეჯი. მარა ნუ თუ ისინი ფიქრობენ, რომ თავის კონტრაგენტებს შეუსრულებენ პირობას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდებიან ბ. ბ. კაპიტალისტებიც, რადგან არა თუ არც ერთი კანონიერი მთავრობა არ იცნობს ამ კონციებს, ოკუპანტების მიერ გაცემულს, არამედ თვით საქართველოს ხალხი მტრულათ შეხვდება ასეთი ხელშეკრულების განხორციელებას.

ქართველ მუშათა ხმამ მიაღწია ევროპამდის.

იტალიის გაზეთებს მთლიანათ მოყავსთ 3.449 ქართველი მუშის მიმართვა თავიანთ დასავლეთის ამხანაგებისადმი.

სოციალისტური პრესა აღნიშნავს, რომ ეს მიმართვა ბევრს აუხელს თვალებს და ამცნობს, თუ რა ბუნების არის ბოლშევიკური დიქტატურა და ის საგარეო პოლიტიკა, რომელსაც მოსკოვის თვითმპყრობელნი ახორციელებენ.

ბოლშევიკები თავს იმართლებენ.

ბრიუსელის გაზეთმა «ექსპლუატემ» (ბელგიის კომუნისტარ ჯგუფის ორგანოა) მოათავსა ცხაკაიას ორი წერილი საქართველოს საკითხის შესახებ. პირველ წერილში ავტორი ამტკიცებს, რომ საქართველოს მთელი ხალხი წინააღმდეგი იყო ნ. ჟორდანიას მთავრობის, რომელიც ეკრძნობოდა მხოლოდ ტერორს. მეორე წერილში აწერილია სოციალისტურ ინტერნაციონალის წარმომადგენელთა მოგზაურობა საქართველოში. ცხაკაიას სიტყვით საქართველოს მუშები და გლეხობა ამ დელეგაციას შეხვდა უნდობლათ და მტრულათ. «ყვითელ სოციალისტებს» ხალხი უსტვენდა ყოველგან, კრებებზე ლაპარაკის ნებას არ აძლევდენო და სხვ.

ასეთი ტყუილებით ფიქრობენ კომუნისტები შეასუსტონ ის შთაბეჭდილება, რომელიც საქართველოზე მათმა ჯაჭაღურმა თავდასხმამ მოახდინა ევროპის პროლეტარიატზე. მაგრამ ვინ დაუჯერებს?

ინგლისის სოციალისტები საქართველოზე თავდასხმის შესახებ.

შოტლანდიის დამოუკიდებელ სოციალისტების ორგანო «წინ»-ში დაიბეჭდა გრძელი წერილი, რომელიც ხელმოწერილია ვიღაც «ა. პ. ლ.»-ის მიერ. ავტორი ამტკიცებს, რომ მოსკოვის მთავრობა ძლიერ კარგათ მოიქცა, როცა საქართველო დაიპყრო, რადგან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და კერძოთ მისი თავმჯდომარე ნ. ჟორდანია ბურჟუაზიული პსიხოლოგიით არის გაჟღენთილიო. ამ აზრის დასამტკიცებლათ ავტორს მოყავს ამონაწერი ჟორდანიას ინტერვიუდან, რომელიც მოთავსებული იყო ლონდონის გაზეთ «ტაიმსში» და ამბობს, რომ ამ ინტერვიუში სოციალიზმზე არა არის რა ნათქვამიო. «ლორვორდ»-ის რედაქციამ მოათავსა ეს წერილი სათაურით: «საკვირველი დაცვა» და თან დაუმატა შენიშვნა, რომელიც გამოხატავს რედაქციის შეხედულებას ამ საკითხის შესახებ.

«ბურჟუაზიული მთავრობანი—შენიშნავს რედაქცია—ყოველთვის უყვარსათ იგონებდენ სხვა და სხვა საბუთებს თავიანთ ჯაჭაღურ ომების გასამართლებლათ. «ა. პ. ლ»-ის მსჯელობა კი ვერავის ვერ მოატყუებს. თუ მოსკოვის მთავრობას უფლება ქონდა თავს დასხმოდა საქართველოს იმიტომ, რომ მას არ მოსწონდა საქართველოს მთავრობის პსიხოლოგია, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ანტანტის მთავრობებსაც, რომელთაც არ ეჯაშნიკება ლენინისა და ტროცკის პსიხოლოგია, უფლება აქვსთ ომი დაიწყოს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ».

ბოლშევიკების ვექილი არ დაკმაყოფილდა ამ ღირსეული პასუხით და რედაქციას გამოუგზავნა მეორე წერილი, რომელიც სავსეა ინგლისის მუშათა პარტიის ლანძღვა-გინებით იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც მან გამოსთქვა საქართველოს დემოკრატიისადმი.

რედაქციამ ეს წერილიც მოათავსა, მაგრამ თან მიაყოლა ძლიერ მჭრელი პასუხი: ბოლშევიკების ვექილის მოსაზრებას რედაქცია ადარებს იმ უვარგის საპონს, რომელსაც მწვირეს მოშორება არ შეუძლია. რედაქცია აღნიშნავს, რომ ინგლისში არ მოიპოება არც ერთი გულუბრყვილო ადამიანი, რომლის დაბრმავება ისე შეიძლებოდეს, რომ მან დაიჯეროს თითქო მოსკოვის პოლიტიკა საქართველოს მიმართ ბოროტმოქმედება არ ყოფილიყოს».

საფრანგეთის და შვეიცარიის პრესა საქართველოში მძვინვარე ტერორის შესახებ.

საფრანგეთისა და შვეიცარიის სოციალისტურ, სინდიკალისტურ და რადიკალურ გაზეთებში მოთავსებულია ცნობა (ბათომიდან) საქართველოში მძვინვარე ტერორის შესახებ. ამ ცნობაში მოყვანილია დაჭერილ ქართველ სოციალისტთა გვარები (სილიბისტრო ჯიბლაძე, ის. რამიშვილი, ალ. ლომთათიძე, გრიგ. ლორთქიფანიძე და სხვ.). მთელი პრესა ერთსულოვნათ

გამოსთქვამს თავის აღშფოთებას საქართველოს ოკუპანტების ბარბაროსულ პოლიტიკის გამო და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოსკოვის იმპერიალისტებმა დიდათ გადააჭარბეს თავიანთ მასწავლებლებს—ნიკოლოზ მეორეს და ვილჰელმ ჰოჰენცოლლერნს.

კ. ჩხეიძის ინტერვიუ ფინლიანდიის გაზეთში.

ფინლიანდიის სოც.-დემ. პარტიის ცენტრალურ ორგანო «სოც.-დემოკრატ»-ში მოთავსებულია ვრცელი ინტერვიუ კ. ჩხეიძესთან, რომელშიც კ. ჩხეიძე დაწვრილებით აცნობს ფინლიანდიის სოციალისტებს საქართველოს ისტორიულ მდგომარეობას წარსულში, და განსაკუთრებით მისი სამი წლის დამოუკიდებლობის ისტორიას, მრავალ რეფორმებს, რომელნიც ჩვენში გატარდა და ბოლოს რუსეთის ბარბაროსულ თავდასხმას.

დაბოლოს კ. ჩხეიძე ამბობს: «ის რაც საქართველოში მოხდა, შეიძლება ხვალ თქვენშიაც დატრიალდეს, თუ ევროპის სოციალისტური პარტიები დახმარებაზე უარს იტყვიან, და ამით საბუთს მისცემენ ბოლშევიკებს სხვა განაპირა ქვეყნებსაც ისე დაუსჯელათ დაესხენ თავს, როგორც საქართველოს. უარყოფა სოციალისტური პარტიების მხრივ ჩვენს საქმეში ჩარევისა დამონებული ქართველი ხალხის სასარგებლოთ, ბოლშევიკების თვითნებობას სავსებით კარებს გაუღებდა».

ინტერვიუს გაკეთების შემდეგ კ. ჩხეიძემ გულითადი სალამი უძღვნა იმ ფინლიანდელ ამხანაგებს, რომელთანაც ერთათ ხელი-ხელ ჩაკიდებული რამდენიმე წლის განმავლობაში იბრძოდა რუსეთის სახ. დუმაში დეპუტატათ ყოფნის დროს.

კაუცკი საქართველოს შესახებ.

კარლ კაუცკის წიგნი საქართველოს შესახებ («საქართველო—სოციალ-დემოკრატიული გლეხთა რესპუბლიკა») გამოდის ეხლახან ინგლისურ ენაზე. ინგლისურ გამოცემისათვის ავტორს დაუწერია ახალი წინასიტყვაობა, რომლიდანაც მოგვყავს ჩვენი მკითხველისათვის საინტერესო ნაწილი.

«საქართველოში მე ვიკვლევდი და ამ წიგნაკში ვარჩევ არა გეოგრაფიულს ან ეტნოგრაფიულს, არამედ სოციალურ პრობლემას; ეს პრობლემა არის შემდეგი: შესაძლებელია თუ ერა ნამდვილათ სოციალისტური მთავრობა იმ ქვეყანაში, რომელიც ეკონომიურათ თვით მეზობელ რუსეთზე უფრო ჩამორჩენილია; როგორ შეუძლია ასეთ მთავრობას გაძლება უდიქტატუროთ, უტეროროთ—დემოკრატიული საშვალებებით და მეთოდებით და რის გაკეთება შეუძლია მას ასეთ პირობებში.

ამნაირათ, მე საქართველოში გავემგზავრე საინტერესო და მნიშვნელოვან სოციალურ ექსპერიმენტის (ცდის) შესასწავლათ, რათა ამ შესწავლიდან გამომეყვანა საყოველთაოდ მისაღები დასკვნები სოციალისტურ პრაქტიკისათვის. ის, რასაც მე ვიკვლევდი, წარმოადგენს ბოლშევიზმის სრულ წინააღმდეგობას. რა უხმაუროთაც არ უნდა აღმოცენებულიყოს ეს ექსპერიმენტი, ის ჩვენი ყურადღების ღირსია არა ნაკლებათ, ვინემ მყვირალა და სენსაციის მოყვარული ბოლშევიკური ექსპერიმენტი.

სამწუხაროთ შეუძლებელი გახდა გვედევნებია თვალყური ორთავე ექსპერიმენტის ერთიმეორეს გვერდით პრაქტიკულ განვითარებისათვის მათ საბოლოო შედეგებამდე. საქართველოს სახელმწიფოებრიობის კონსოლიდაციის (ჩამოყალიბების) პროცესი, რომელიც იკვალავდა გზას, შეწყვეტილ იქნა უხეში ძალის საშუალებით მისი მეზობელის და კონკურენტის —რუსეთის მიერ.

როცა მე ამა წლის იანვარში უკან ვბრუნდებოდი საქართველოდან, მე გავიგე, რომ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი დიდ სიმპატიას უცხადებდა საქართველოს მთავრობას. ეხლა საქართველოს წარმომადგენლებს ხელთ აქვთ იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ რუსეთის მთავრობა უკვე 1920 წლის დეკემბერში იღებდა წინასწარ სამხედრო ზომებს საქართველოზე თავდასხმისათვის, რომელიც მან თებერვალში მოახდინა. ამ თავდასხმის შედეგი იყო ის, რომ ეს ქვეყანა დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკის ფორმით კვლავ რუსეთის პროვინციათ გახადეს. პატარა ქვეყანა შეუბოჭავს 120,000 კაციან რუსის წითელ არმიას, რომელიც მას უმოწყალოთ სძარცვავს. როგორც დაპყრობილი ქვეყანა, საქართველო გაცილებით მეტს ითმენს ბოლშევიზმის ბატონობისაგან, ვინემ თვით უბედური რუსეთი. სრუ-

ლი გაპარტახების და შიმშილით სიკვდილამდე მიყვანის პროცესი, რომელიც რუსეთში 4 წლის განმავლობაში მოხდა, საქართველოში რამდენიმე თვის განმავლობაში შესრულდა და იმავე საზარელ შედეგებს მიაღწია.

იმ მოვლენებმა, რომელიც მე ამ წიგნის გერმანულათ გამოცემის დროს აწერილი მქონდა, როგორც ახლად მომხდარი, დღეს, ინგლისურ გამოცემის დროისათვის, უკვე სხვა, ძირიანათ განსხვავებულ გარემოებებს დაუთმეს ალაგი. ამისდა მიუხედავათ ამ წიგნის საგანს აქტიური ინტერესი არ დაუკარგავს. ვინაიდან, ჯერ კიდევ სცოცხლობს და ჩვენს ყურადღებას იპყრობს რუსული ბოლშევიზმი—ეს პირდაპირი წინააღმდეგობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ რესპუბლიკისა, რომლის შესწავლა ძლიერ გაგვიადვილებს საბჭოთა რუსეთის მეთოდების სწორად დაფასებას.

და როგორც თვით რუსეთში, ისე საქართველოშიაც მოსკოვის მპყრობელთა დიქტატურას აღარ შეუძლია დიდ'ანს გასტანოს. ქართველ ხალხს მრავალ ბარბაროსთა შემოსევისათვის გაუძლია, ის წითელ არმიების და ჩრეზვიჩაიკების თარეშსაც გაუძლებს. რუსეთში და საქართველოშიაც ისევ უნდა გაიმარჯვოს საბოლოოთ დემოკრატიამ.

მაშინ იმ პრობლემებს და იმ ცდას, რომლებსაც მე საქართველოში გავეცანი და რომლებიც ამ წიგნაკშია აღნიშნული, ხელახლა მიეცემათ პრაქტიკული მნიშვნელობა საქართველოს საზღვრებს გარეშეც, რუსეთში და მის განაპირა ქვეყნებშიც.

პირველი ხანა, როგორც კავკასიის ქედის სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებისათვის, რა თქმა უნდა, საშინელი იქნება. შემდეგაც კი, როცა დემოკრატია შესძლებს როგორც თეთრი, აგრეთვე წითელი ფერის დიქტატურის დათრგუნვას, ამ ქვეყნების ეკონომიური ორგანიზმი კიდევ დიდი ხნის განმავლობაში იქნება ათასნაირათ დაწყლულებული და იძულებული გახდება დიდის გაჭირვებით, ტკივილებით და ვაი-ვაგლახით აწარმოვოს ბეჩავი ცხოვრება.

ჩვენი ვალია დასავლეთში—ამ დროისათვის მძლავრ გაერთიანებულ ძალათ გავხადოთ სოციალისტური პარტიები და მათი ინტერნაციონალი. თუ ეს შევასრულეთ, მაშინ შეგვეძლება არამც თუ ჩვენი პროლეტარიატის და ჩვენ ერების წინ წაწევა, არამედ აღმოსავლეთისთვისაც ძლიერი დახმარების აღმოჩენა მისი ჭრილობების გასაკურნავათ.

მხოლოდ ასტრონომებისა და არა სოციალისტებისათვის აქვს ღირებულება იმ თქმულებას, რომელიც ამბობს «ნათელი აღმოსავლეთიდან მოდისო». მაგრამ, თუ ჩვენ, დასავლეთის სოციალისტები მოწოდებული ვართ ცხოველი ნათელი მოუვლინოთ მთელ ქვეყანას, ეს კონსტატაცია (ფაქტის აღნიშვნა) უნდა მივიღოთ არა როგორც **კომპლიმენტი**, რომელიც ჩვენ გაგვაკადნიერებს, არამედ როგორც აღნიშვნა ჩვენი **მოვალეობის**, რომელიც მოითხოვს ჩვენგან თავდადებულ მოღვაწეობას ჩვენი დიადი იდეალის—ყველა მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა განთავისუფლების განსახორციელებლათ».

კ. კაუცკი.

ბერლინი—შარლოტენბურგი.
8 სექტემბერი, 1921 წ.

შინაური გრძოლა გერმანიაში.

26 აგვისტოს გერმანიის ერთ-ერთ პატარა ქალაქის მახლობლათ ორმა, ჯერ უცნობმა ახალგაზდამ, რევოლვერით მოჰკლეს მატიას ერცბერგერი, რეიხსტაგის დეპუტატი და გერმანიის რესპუბლიკის ყოფილი ფინანსთა მინისტრი.

ეს მკვლელობა გახდა საბაბი უდიდესი პოლიტიკური მოძრაობის და ბრძოლის მთელს გერმანიაში, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა და რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის ხალხის და სახელმწიფოებრივობის მომავლისათვის.

ვინ იყო ერცბერგერი, ვინ და რისთვის მოჰკლა ის, რა ხასიათის და შინაარსისაა ეს უმწვავესი პოლიტიკური ბრძოლა?

შედარებით ახალგაზდა (46 წლის) მატიას ერცბერგერი, გერმანიის კათოლიკურ პარტიის, ე. წოდ. «ცენტრის», ლიდერი იყო. «ცენტრი» არის ტიპიური შუათანა ელემენტების პარტია, რომელიც სხვა და სხვა სოციალურ ჯგუფებს აერთებს. მის მიმყოლათ უნდა ჩაითვალოს 3 საზოგადოებრივი ელემენტი: საშვალო ბურჟუაზიის ნაწილი—მის მარჯვენა ფრთას შეადგენს, გერმანიაში მრავალრიცხოვანი წვრილი ბურჟუაზია—პარტიის ცენტრს და კათოლი-

F 83 ‰

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

კე მუშები—მის მარცხენა ფრთას. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პარტიისთვის წვრილ ბურჟუაზიას და, როგორც ამ უკანასკნელს სწევია, პარტიაც—გარემოებათა ზეგავლენით—ხან მარჯვნით—ბურჟუაზიულ ნაწილისაკენ იხრება, ხან მარცხნით—პროლეტარულ ელემენტებისაკენ. ომის წინა წლებში «ცენტრი» შეადგენდა ვილჰელმის რეაქციის ერთ ბურჯთაგანს, ომის დასაწყისში ის აჭიდა გერმანიის იმპერიალისტებს, ხოლო ომის ბოლო წლებში, მუშათა მასების სულისკვეთების გავლენით, ის გადაიხარა მარცხნით და დემოკრატიულ პოლიტიკას დაადგა. სწორეთ ამ დროს ჩაუდგა მას სათავეში ერცბერგერი, ბუნებით და რწმენით დემოკრატი, ფოლადის ენერგიის კაცი, შეუპოვარი და დაურიდებელი პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც სწორეთ მისი დაურიდებელი ბრძოლის გამო მრავალი პირადი მტერი გაუჩნდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ბანაკში. ერცბერგერი იყო ვილჰელმის უკანასკნელ ლიბერალურ მთავრობაში, რომელსაც ბადენის პრინცი მაქსი ხელმძღვანელობდა. მან შეიმუშავა დროებითი ზავის პირობები და ხელიც მოაწერა დროებით ზავს. რევოლიუციის შემდეგ ერცბერგერი შევიდა სო იალისტებთან ერთათ კოალიციურ მთავრობაში ფინანსთა მინისტრათ და მან გაატარა სპეკულიანტურ კაპიტალის დაბეგვრა. ამ ორი ზომის—დროებით ზავის ხელის-მოწერის და მსხვილი კაპიტალის დაბეგვრის გამო აუტეხენ ერცბერგერს რეაქციონური პარტიები.

როგორც ყველა სხვა ქვეყნებში, გერმანიაშიაც 1918 წლის გადატრიალების დღეებში ყველა კლასები და პარტიები რევოლიუციაზე ფიცულობდენ. მარა გავიდა რამოდენიმე თვე, შენელდა რევოლიუციური ქარტეხილი, რეაქციონერები გონს მოვიდენ, ძალ-ღონე მოიკრიბეს და შეუდგენ რეაქციის ბნელ საქმეს. რეაქციის ბურჯი გერმანიაში არის: 1) ძველი რეჟიმის დროს პრივილეგიებით აღჭურვილი მიწათ-მფლობელთა კლასი, ე. წ. იუნკრობა, რომლის წიაღიდან გამოდიოდა იმპერიალიზმის მანიით შეპყრობილი ვილჰელმის კარის-კაცები, ოფიცრობა და უმაღლესი ჩინოვნიკები და 2) ე. წ. მძიმე ინდუსტრიის პატრონი მსხვილი ბურჟუაზია, რომელიც გერმანიის ვეებერთელა მილიტარისტულ აპარატს ასაზრდოებდა და თვითონაც უდიდეს მოგებას პოულობდა მილიტარიზმისაგან. ამათ თან ერთვის ბურჟუაზიის ომში გამდიდრებული სპეკულიანტური ნაწილი. ამ საზოგადოებრივი ელემენტების ინტერესთა მატარებელი იყო ვილჰელმის რეჟიმი და ამ უკანასკნელის დამხობით მათ პოლიტიკურ ბატონობას ბოლო მოეღო, შესუსტდა აგრეთვე მათი ეკონომიური სიძლიერეც. ესენი დღეს ძველის დაბრუნებაზე ოცნებობენ, რესპუბლიკის და დემოკრატიულ წესწყობილების შეურიგებელი მტრები არიან. პოლიტიკურათ მათ თავი მოუყრიათ ორ ძლიერ მემარჯვენე პარტიებში (გერმანული ნაციონალური პარტია და გერმანიის სახალხო პარტია), მათი ლაშქარია მრავალრიცხოვანი ძველი, დღეს უსაქმოთ დარჩენილი ოფიცრობა ლუდენდორფ-ჰინდერბურგის წინამძღოლობით და უმაღლესი ბიუროკრატია. ამ ელემენტების საქმე იყო ე. წოდებული კაპის გადატრიალება გასულ წელს, რომელიც ძლეულ იქნა მუშათა კლასის წინააღმდეგობით. მარა კაპის დამარცხებამ გერმანიის რეაქციას არ ააღებია ხელი კონტრ-რევოლიუციურ მუშაობაზე, გავიდა რამოდენიმე თვე და ნაციონალისტები გაორკეცებული ენერგიით ეკვეთენ რესპუბლიკას და დემოკრატიას. მათ ბნელ მუშაობას ხელს უწყობს გერმანიაში ერთი თავისებური გარემოება: მიუხედავათ 1918 წ. რევოლიუციისა სხვა და სხვა დაწესებულებებს სათავეში უდგას ძველი ჩინოვნიკები. განსაკუთრებით იუსტიციის უწყებაში მოუკალათებიათ მათ და, სარგებლობენ რა «მსაჯულთა გამოუცვლელობის» პრივილეგიით, დაურიდებლათ ესხმიან თავს დემოკრატიულ ელემენტებს, ყოველ ნაბიჯზე შურს იძიებენ მათზე და ხელს უწყობენ მემარჯვენე მოძალადეების აღვირ-ფახსნილობას. ამით აიხსნება, რომ მრავალი კაპის გადატრიალების გმირი აქამდე სრულიათ დაუსჯელია, მაშინ როდესაც მემარცხენეებს, კომუნისტურ და ხშირათ აგრეთვე სოციალისტ მუშებს, გერმანიის სასამართლოები მცირე პოლიტიკურ «დანაშაულისათვის» უსასტიკეს სასჯელს, კატორღას და ციხეს არგუნებენ. ამითვე აიხსნება მემარჯვენე ტერორისტების თავგასულობა: მათ ამ სამი წლის განმავლობაში 250 მოღვაწეზე მეტი იმსხვერპლეს მარცხენა ბანაკიდან. მოჰკლეს სხვათა შორის ჰააზე, დამოუკ. სოციალისტთა ლიდერი, ეისნერი და ბევრი სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრი ამ პარტიის. ეს ტეროორისტები ან სრულიად აღმოუჩენელი და დაუსჯელი რჩებიან, ან უმნიშვნელო სასჯელით გადიან ფონს და ამიტომ მეტი თავგასული შეიქნენ.

იგინი სარგებლობენ ქვეყნის საგარეო და საშინაო გაჭირვებით. საერთაშორისო ომის ეს ნამდვილი ავტორები გერმანიის დამარცხებით გამოწვეულ ეროვნულ დამცირებას თავს ახვევენ დემოკრატიულ და სოციალისტურ მოღვაწეებს, ეწევიან მათ წინააღმდეგ აღმაშფოთებელ დემაგოგიას, წასისინებას და პროვოკაციულ კამპანიას. «მონარქიამ აამაღლა და შარავანდედით შეამკო გერმანია, რესპუბლიკამ დაამცირა და ანტანტის მონათ გახადა სამშობლო. ძირს რესპუბლიკა, ძირს ანტანტის ლაქიები, ძირს უცხოეთის მიერ მოსყიდული დემოკრატიული და სოციალისტური მოღვაწეები, გაუმარჯოს მონარქიას, გაუმარჯოს ვილჰელმ-ლუდენდორფ-ჰინდენბურგსო!»—ყოველ ნაბიჯზე, როგორც პრესაში, აგრეთვე ქუჩაში საჯარო კრებაზე და დღესასწაულებზე გაიძახის რეაქციის ლაშქარი. ანტანტის მიმართ ისინი განუწყვეტელ პროვოკაციას აწარმოებენ და ხელს უშლიან მთავრობას მშვიდობიანობის პოლიტიკის გატარებაში. ასეთსავე კამპანიას აწარმოებენ რეაქციონერები საშინაო პოლიტიკაში.

რესპუბლიკამ უკვე შესამჩნევათ შესცვალა გადასახადების სისტემის ხასიათი. ახალმა საფინანსო პოლიტიკამ გადასახადთა ნაწილი მსხვილ მიწათმფლობელობას, მძიმე ინდუსტრიას და სპეკულიანტურ კაპიტალსაც დააკისრა. ამან განსაკუთრებით ააშფოთა მემარჯვენეთა ლაშქარი. მსხვილი მიწის მფლობელი და სპეკულიანტი გააფთრებით იცავენ ქისას და ამ ბრძოლას ასაღებენ სამშობლოსათვის ბრძოლათ. უახლოეს მომავლისათვის მზადდება მთელი სისტემა ახალი გადასახადების, მოსალოდნელია მისი კიდევ მეტი დემოკრატიზაცია, სოფლის და ქალაქის კიპიტალის კიდევ უფრო ძლიერი დაბეგვრა. ამ მოლოდინმა გააორკეცა რეაქციონერების ბრძოლის წყურვილი, მემარჯვენეების პროვოკაციამ ყოველ-დღიური და მასიური ხასიათი მიიღო. დემოკრატიის მტრებმა გადასწყვიტეს ისარგებლონ სილეზიის საკითხით გამოწვეულ გამწვავებულ საგარეო მდგომარეობით და ახალი საფინანსო კანონის ირგვლივ ატეხილ საშინაო უთანხმოებათ, გადამჭრელი ბრძოლა მისცენ რესპუბლიკას და მის დამცველ მთავრობას. ტეროორისტული აქტი ერთი-მეორეს მიჰყვა; ყოფილ ოფიცრების ბანდები ყოველ ნაბიჯზე მართავდენ საჯარო დემონსტრაციებს მონარქიის სადიდებლათ, მემარჯვენე პრესა აღმაშფოთებელი თავგასულობით ალაპარაკდა; ქუჩაში, ტრამვაიზე, მატარებლებში რეაქციონერები აშკარათ ლანძღავდენ და ლაფს ასხამდენ დემოკრატიულ მთავრობას, რესპუბლიკას, სოციალისტებს. შეიარაღებული ოფიცრები თავს ესხმოდენ მუშებს და ხშირი იყო ამ შეტაკების დროს მუშების მოკვლის შემთხვევები. ყოველივე ამას ხელს აფარებდა და მფარველობდა რეაქციონური ბიუროკრატია და სასამართლო. უკანასკნელ ორ თვეში შეიქმნა შთაბეჭდილება თითქოს გერმანია მონარქისტულ გადატრიალების წინ იდგა. კენიგსბურგში ერთ სამხედრო დღესასწაულზე ლუდენდორფმა აშკარათ მოუწოდა ძველ ჯარს სარევანშო ომისათვის. მეორე ცნობილმა რეაქციონერმა ბისმარკის ძეგლის გახსნის დღესასწაულზე შტეტინში საჯაროთ განაცხადა,—გერმანიის ხალხი «ხელახლა ერთგულათ ირაზმება იმპერიისა და იმპერატორის გარშემოო»; გახშირდა ძველი საიმპერატორო პოლკების სადღესასწაულო სამხედრო პარადები და დემონსტრაციები. ერთის სიტყვით, შავი არმია აშკარათ ირაზმებოდა რესპუბლიკის შესამუსრავათ.

ასეთ პირობებში გავარდა რევოლვერი რომელმაც იმსხვერპლა ერცბერგერი. ეს იყო ნიშანი ომის დაწყებისა. მემარჯვენე პრესა დიდი ხანია მოუწოდებდა მის მოსაკლავათ. ამ ერთი წლის წინათ ერთმა ყოფილმა ოფიცერმა ესროლა კიდეც მას, მარა ჭრილობა სასიკვდილო არ აღმოჩნდა. თავდასხმის ავტორს სასამართლომ მხოლოთ ერთი წლის ციხე მიუსაჯა. ეს იყო მკვლელობის პირდაპირი წაქეზება. და აი ეხლა, 26 აგვისტოს, პროვინციის მიყრუებულ შარა გზაზე ავაზაკურათ დაესხა მას თავს ორი ახალგაზდა და ათი ტყვიით გაუგმირა მას გული.

ამით უნდოდათ რესპუბლიკა გაეგმირათ, მარა მოსტყუვდენ. ერცბერგერის მკვლელობამ გამოაღვიძა და ფეხზე დააყენა გერმანიის დემოკრატია. ის შეიქნა სამკვდრო-სასიცოცხლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის სიგნალათ. გერმანიის დემოკრატია რამოდენიმე დღეში დაირაზმა ბრძოლისათვის. მას, როგორც ყოველთვის, სათავეში ჩაუდგა მუშათა კლასი. გერმანიის პროლეტარიატის ორივე სოციალისტურმა ფრთამ იგრძნო, რომ მხოლოდ მუშათა კლასის ერთათ დარაზმვა მოუღებს ბოლოს რეაქციის ბნელ მუშაობას. და აი მეუმრავლესეთა და დამოუკიდებელ სოციალისტთა პარტიების ხელმძღვანელები შეთანხმდენ ერთად გამოსასველელათ, მათ გვერდში ამოუდგა პროფესიონალური კავშირები. 31 აგვისტოსათვის დაინიშნა საერთო დემონსტრაციები ბერლინში და მრავალ სხვა ქალაქებში. აუარებელი ხალხი მოაწყდა ამ დემონსტრაციებს. ბერლინში ნახევარი მილიონი მანიფესტანტი გამოვიდა, პოტსდამში 200,000 და ასევე სხვა ქალაქებში. სოფლებსა და დაბებშიაც ქონდა მანიფესტაციას ადგილი, განსაკუთრებით იქ, სადაც ქარხანა ან სხვა წარმოება მოიპოვებოდა. შეიძლება ითქვას, რომ მთელი მუშათა კლასი გამოვიდა ასპარეზზე და დემოკრატიული წრეებიც აიყოლია. სოც. პარტიებმა და პროფ. კავშირებმა გადასცეს მთავრობას ენერგიული მოთხოვნა, რათა დაუყონებლივ სასტიკი ზომები ყოფილიყო მიღებული რეაქციის ასალაგმავათ. სოციალისტურმა გაზეთებმა მიმართეს მუშებს მოწოდებით—საცა კი შემთხვევა მიეცემათ ალაგმონ რეაქციონერები, ნუ გააბედვინებენ მათ რესპუბლიკის და დემოკრატიის დამცირებას, ენერგიულათ გაუწიონ წინააღმდეგობა თავდამსხმელ რეაქციონერებს ქუჩაში, კრებაზე, ვაგონებში თუ სხვაგან. «დაუმტკიცეთ რეაქციონერებს, რომ თქვენი მარჯვენა მარტო ზედმეტი ღირებულების დასამუშავებლათ არ არის შექმნილი!»—მიმართვდა «ფორვერტსი» მუშებს. დემოკრატიული კოალიციური მთავრობა, რომელშიაც შედიან მეუმრავლესე სოც. და რომელსაც სათავეში უდგას ცენტრის დემოკრატიული მოღვაწე ვირტი, გაჰყვა პროლეტარიატის კარნახს და ენერგიულ ბრძოლის გზას დაადგა. «რესპუბლიკისათვის ბრძოლაში რომ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიის შორის არჩევა მომიხდეს, პროლეტარიატის მხარეზე დავდგებიო», განაცხადა საიმპერიო კანცლერმა ვირტმა.

მთავრობის თანხმობით რესპუბლიკის პრეზიდენტმა ებერტმა გამოსცა სპეციალური წესები რეაქციონური პრესის ასალაგმავათ და აუკრძალა ყოფილ ოფიცრებს სამხედრო ფორმის ტარება.

(დასასრული შემდეგ №-ში)

ავსტრო-უნგრეთის კონფლიქტი და სოციალ-დემოკრატია.

ბურგენლანდის გარშემო ატეხილმა კონფლიქტმა დიდი მღელვარება გამოიწვია ავსტრიაში. საქმე ეხება არა მარტო ბურგენლანდის დაკარგვას, არამედ თვით ავსტრიის დემოკრატიულ წყობილებას, რომელიც მონარქისტულ უნგრეთისაგან საფრთხეშია ჩავარდნილი. უნგრეთი ყოფილ მეფის—კარლ გაბსბურგის ერთგულია და უარს არ იტყვის, რომ მის სკიპტრის ქვეშ ავსტრიაც მოაქციოს. ავსტრიის მონარქისტებმაც ამას სუნი აუღეს და სწორეთ ახლა წამოყვეს თავი თვით ავსტრიაშიაც. ამ რიგათ რესპუბლიკა, რომელსაც თავდასაცველი საშვალება ანტანტამ მოუსპო, დიდ განსაცდელში იმყოფება.

და აი ასეთ მდგომარეობაში ყველაზე ძლიერი და გავლენიანი პარტია, ავსტრიის სოციალ-დემოკრატია იმაღლებს ხმას ქვეყნის დასაცავათ.

ავსტრიის სოც.-დემ. მუშ. პარტია, როგორც ვიცით, ვენის ინტერნაციონალში შედის, რომლის მონაწილეთა უმეტესობა, თუ ყველა არა, სამშობლოს დაცვას ზედმეტ ბარგათ თვლიან და საბჭოთა სისტემა მისაღებათ მიაჩნიათ პრინციპიალურათ მაინც. ახლა ერთ უდიდეს პარტიას ამ ვენის ინტერნაციონალისას, რომელიც ფაქტიურათ ხელმძღვანელობს მას, თვით დაუდგა პრაქტიკულათ ეს საკითხი თავის ქვეყანაში და აი როგორ გადასჭრა ან იგი:

«ავსტრიის სოც.-დემ. გამგეობა (ც. კ.) და სოც.-დემ. დეპუტატების გამგეობამ, ორშაბათს 6 სექტემბერს გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

შეკავშირებულ მუშების წინაშე მიმდინარე კრიზისის ხანაში დგება ორგვარი საკითხი: პირველ ყოვლისა მათ უნდა ყოველი ღონისძიება იხმარონ, რომ არ დაირღვეს მშვიდობიანობა, რომელსაც საფრთხეში აგდებს ხორტის უნგრეთი, და ამით აიცილოს თავიდან ახალი ომის საშიშროება.

მაგრამ თუ ხორტის (ადმირალი ხორტი—

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნგრეთის რეგენტია) უნგრეთი მაინც აიძულებს მას იომოს, რომელიც იქნება ბრძოლა არა მარტო ბურგენლანდის, არამედ თვით რესპუბლიკის არსებობისათვის, იქნება ბრძოლა მონარქიის აღდგენის, და ავსტრიის ხორტის სამეფოთ გადაქცევის წინააღმდეგ, მაშინ მუშები მთელი თავის ძალღონით უნდა აღსდგენ, რომ დაიცვან რესპუბლიკის და პროლეტარიატის თავისუფლება, რომელსაც საფრთხე მოელის. სანამ კიდევ არსებობს იმედი დიპლომატიური საშვალებით კონფლიქტის დათავების და ზავის აღდგენის, მანამდე არავითარ ძალმომრეობით ნაბიჯებს ადგილი არ უნდა ექნეს მუშების მხრივ, რადგან ყოველი ასეთი ნაბიჯი გააძლიერებდა თავის საშიშროებას: იგი გამოიწვევდა იმას, რომ ხორტის უნგრეთს შეძლება მიეცემოდა, ესარგებლა მუშების მობილიზაციით, იგი ომის მიზეზათ დაესახა და ამ შემთხვევაში ანტანტაც მოქმედების თავისუფლებას დაუტოვებდა უნგრეთის რეაქციონერებს ჩვენს მიმართ. ამიტომ ზავის ინტერესის დასაცველათ უნდა თავი შეიკავონ ყოველგვარი სეპარატიული გამოსვლისაგან როგორც ამა თუ იმ კუთხემ, ისე ამა თუ იმ პროფესიის ხალხმა.

მაგრამ თუ მიუხედავათ ჩვენი რესპუბლიკის მშვიდობის-მოყვარეობისა და მუშების გონიერი თავდაჭერილობისა, ხორტის უნგრეთი მაინც დაიწყებს ომს ავსტრიის წინააღმდეგ, მაშინ, რასაკვირველია, მუშათა ბუნებრივი მოვალეობაა იარაღით ხელში ჩადგეს ჩვენი ჯარის რაზმებში, რათა დაიცვას რესპუბლიკა და მუშათა კლასის თავისუფლება.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ვიმედოვნებთ, რომ ზავი შეიძლება არ დაირღვეს. ამიტომ მუშებმა არ უნდა დაკარგონ გონიერება. ჩვენი საზღვრების დაცვა დროებით უნდა მინდობილი ექნეს ჩვენს რესპუბლიკანურ ჯარს და ქანდარმერიას.

ყველა სოც.-დემ. მუშების სახელით ჩვენ ვადლობას ვუძღვნით ჯარს, რომელიც იცავს რესპუბლიკას, ქანდარმერიას და სანაპირო ყარაულებს, და პირველ ყოვლისა იმ ნაწილებს, რომელთაც ბრძოლაში მიიღეს პირველი ნათლისღება ს. კირხშლაღთან თავის მოვალეობის ერთგულათ, მტკიცეთ და გმირულათ ასრულებისათვის რესპუბლიკის და ამით პროლეტარიატის თავისუფლების დასაცველათ.

მუშები არ დაივიწყებენ იმათ, ვინც დარჩათ შინ ბრძოლის ველზე დაცემულ მებრძოლებს. ჩვენ მოვითხოვთ მთავრობისაგან, რომ იგი უხვი ხელით დაეხმაროს შეტაკების მსხვერპლებს. მაგრამ ჩვენი მუშათა მოვალეობაცაა, რომ მადლობის გრძნობა გამოვიჩინოთ იმათ მიმართ, ვინც გვიცავს ხორტის ბანდიტებისაგან. პარტიის გამგეობა 100,000 კრონს სწირავს, იმ ფონდისათვის, რომელიც უნდა შეიქმნეს მონარქიული ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში დაცემულ მსხვერპლთა დასახმარებლათ.

ჩვენ მოვითხოვთ ყველა მუშებისაგან, რომ მათ ამ სახიფათო მდგომარეობაში მხარი დაუჭირონ არმიას, დაიცვან სრული წესიერი მოძრაობა ტრანსპორტის, და ყველა წარმოების, რომელიც ჯარს ემსახურება, აწვდის იარაღს, სურსათს და სხვ. ხოლო ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიონ კარლისტების (ყოფილი მეფის კარლის მომხრეების) ინტრიგებს, რომელთა მიზანია თავის მოკავშირე მადიარების სასარგებლოთ შექმნან ამ მწვავე მომენტში კონფლიქტები წარმოებაში და ამ მიზნით ცდილობენ გამოიწვიონ რაიმე წინდაუხედავი ნაბიჯის გადადგმა მუშების მხრივ».

შემდეგ პარტიამ დელეგაცია გაუგზავნა მთავრობას და შეატყობინა მას თავისი გეგმა მოქმედების და თავდაცვის.

ავსტრიის სოც.-დემ. ეს სწორი რევოლიუციური ნაბიჯი, ეჭვი არაა შეაფიქრიანებს შინაურ და გარეშე რეაქციონერებს, რომელნიც კბილებს ილესავენ ამ რესპუბლიკაზე.

ჩეხო-სლოვაკიის დემოკრატიაც ისე, როგორც დემოკრატია დანარჩენი მოსაზღვრე სახელმწიფოების, თქმა არ უნდა, მათთან იქნებიან და ეს შეერთებული ძალები შეძლებენ ამ მოსალოდნელ საფრთხის თავიდან აცილებას.

მაგრამ საერთოთ უნდა ითქვას, რომ რეაქციონურ უნგრეთის არსებობა მუდამ საფრთხე იქნება მშვიდობიანობისა და დემოკრატიზმისათვის შუა-ევროპაში, თუ მას გესლიანი კბილები არ ამოაცალეს. ამ რეაქციის ამოფხვრა, რომლის გაბატონებას უმთავრესათ შეუწყო ხელი უგნურმა კომუნისტურმა ექსპერიმენტება თავის უხეში პოლიტიკით, რომელსაც ა"არმოებდა იქ ცნობილი კომუნისტი ბელაკუნი, დღეს ერთი მძიმე, მორიგი ამოცანაა შუა ევროპის და პირველ ყოვლისა თვით უნგრეთის დემოკრატიის.

ინგლისი და რუსეთი.

(მიმოხილვა)

ამ ორ სახელმწიფოს შორის კარგი, მეგობრული განწყობილება არასოდეს არ ყოფილა. პირიქით ისინი მუდამ ერთმანეთის მოქიშპეთ გამოდიოდენ წინა-აზიაში, სადაც ინგლისის უმდიდრესი კოლონიებია და საითაც თავის მხრივ მიისწრაფოდა თვითმპყრობელი რუსეთი. გზის გახსნა ინდოეთისკენ და სპარსეთის ზღვის ყურისაკენ ყოველთვის იყო ქვაკუთხედი რუსეთის პოლიტიკის. ხოლო მისი ამ გზიდან გადაგდება, ან ყოველ შემთხვევაში შეჩერება—ინგლისის პოლიტიკურ მუშაობის ერთ მთავარ საზრუნავ საგანს შეადგენდა.

ამ მიზნის მისაღწევათ ინგლისი ხან უთანხმდებოდა რუსეთს და იყოფდენ გავლენის სფეროს, როგორც მაგ. სპარსეთში, ხან კი ახალ-ახალ მტრებს უჩენდა მას, როგორც მაგ. იაპონიას და სხვ., რომ ამით მისი ყურადღება ახლო აღმოსავლეთიდან მოეშორებია. საერთოთ კი დიდი და ძლიერი რუსეთი, რომელსაც მთლიანათ უჭირავს მეექვსედი მთელი დედამიწის—მისთვის მეტათ საშიშ მეზობელს წარმოადგენდა, რომლის დასუსტება და დაუძლურება ყოველ შემთხვევაში თავისთვის ხელსაყრელ მოვლენათ მიაჩნდა...

ეს ინტერესთა წინააღმდეგობა ამ ორ სახელმწიფოთა შორის დღემდე არ გამქრალა. იგი არც რუსეთის რევოლიუციას შეუცვლია და არც ბოლშევიკთა გაბატონებას. პირ-იქით ამ უკანასკნელების ხელში მან უფრო მწვავე ხასიათი მიიღო.

ბოლშევიკებმა, როგორც ვიცით, ძველი მეფეების აღმოსავლეთის პოლიტიკა თავის მთავარ სამოქმედო ბაზათ გაიხადეს და ინდოეთის პრობლემა—ერთ აქტუალურ პრობლემათ. მაგრამ თავის მოქმედება მათ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი და მკვირალა ერაზების კორიანტელში გაბვიეს: ერთა თვით გამორკვევა, აზიის დაჩაგრულ ერებთან ერთათ ევროპის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ამ უკანასკნელის დასამხობათ და აზიის განსათავისუფლებლათ, და სხვ. რევოლიუციური ლოზუნგები იქნა წამოყენებული მებრძოლი კომუნიზმის მიერ. ცნობილი ყრილობა აღმოსავლეთის ერებისა ბაქოში 1920 წელს, სწორეთ ამ ლოზუნგების ქვეშ გატარდა. იმავე ლოზუნგის ქვეშ მოხდა მოსკოვის კავშირი ქემალ ფაშასთან და ენვერ ფაშასთან, რომელნიც რევოლიუციონერებათ და განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურებათ იქნენ გამოცხადებული. ამავე მიზნით იმართება «ძმური» მიწერ-მოწერა ავღანისტანის ემირთან, რომელთანაც ამა წლის 13 აგვისტოს საბოლოო ხელშეკრულება იქნა დადებული, რის შემდეგ მოსკოვის მფლობელი და ავღანის ემირი საჩუქრებით და ძღვნებით უმოწმებენ ერთმანეთს კომუნისტურ სიყვარულს და მტკიცე პირზე დგომას.

მაგრამ ნამღვილათ კომუნისტების ამ «გაუგებარ და უკანონო» ქორწინებას სულ სხვა იმპერიალისტური მიზნები აქვს სარჩულათ: სწორეთ ის, რაც პეტრე დიდმა და ეკატერინე 2-ემ დაუსახეს რუსეთის დიპლომატიას: რუსის ბატონობის გავრცელება ინდოეთის ზღვამდე. ამას მოწმობს თუნდა ფაქტი ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობის და სპარსეთში შესევის. ამას მოწმობს ის ინსტრუქციებიც, რომელნიც აღმოსავლეთის ხალხებში გასაგზავნ პროპაგანდისტებს ეძლეოდათ სახელმძღვანელოთ. ამ ინსტრუქციებით მათ ევალებოდათ ისლამის და აგრეთვე ხალხის ზნე ჩვეულების სრული პატივისცემა, ტომთა და ხალხთა მეთაურებთან კარგი განწყობილების დაჭერა და მათი მომხრობა სიტყვით, დაპირებით, დასაჩუქრებით და სხვა ყოველი საშუალებით, რომელიც კი გამოსადეგი იქნება. მხოლოდ თუ მეთაურები ვერ შეიგნებენ მოსკოვის კომუნიზმის უდიდეს მნიშვნელობას მათი ბატონობისთვის, პროპაგანდისტები უკვე გადიან ხალხში და მას თავის მეთაურების წინააღმდეგ ამხედრებენ.

უნდა ვულახდილათ ითქვას, რომ ამ მხრივ რუსეთის კომუნისტებმა დიდი ენერგია გამოიჩინეს. რუსეთში ათასობით პროპაგანდისტები დაზარდეს სპეციალურ სკოლებში, აუარებელი ფული დახარჯეს, რომ მთელი აღმოსავლეთი ოეხზე დაეყენებიათ. მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ევროპის იმპერიალიზმს რუსის კომუნისტების ხელით სიკვდილი არ უწერია და ვერც აზიის დაჩაგრულ ერებს მოუტანს რუსის მძარცველი წითელი არმია განთავისუფლების ქმინდა სიამოვნებას.

მაგრამ ყოველ შემთხვევაში მოსკოვის მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობას ის შედეგი მოყვა, რომ ამ ერებში ერთგვარი მოძრაობა წარმოიშვა, რითაც ინგლისის ინტერესები სერიოზულ საფრთხეში ჩაგარდა. ქემალის მოძრაობის გაძლიერებაც ერთიანათ მის დახმარებას მიეწერება. მოსკოვის ოქრო აძლევს ამ უკანასკნელს საშვალებას ხანგრძლივი ბრძოლისას. მისი ხელი ურევია, ეტვი არაა, ინდოეთის ზოგიერთ ტომების აჯანყებაშიაც ინგლისის წინააღმდეგ.

ასე მაგ. აგვისტოს ბოლო რიცხვებში, სულ ერთი-ორი კვირის შემდეგ ავღანის ემირთან ხელშეკრულების დადების დღიდან ინდოეთის ერთი მრავალ-რიცხვოვანი ტომი «მოილები» აჯანყდენ. ეს ტომი—სარწმუნოებით მუსლიმანურია და აჯანყების ლოზუნგათ წამოყენებულ იქნა ხალიფატის (სულთანის) ცუდი მდგომარეობის და საერთოთ მუსლიმანების შევიწროების მოსპობა. ინგლისური წყაროების ცნობით მოძრაობას წინ უძღოდა რამდენიმე თვის გაცხარებული აგიტაცია ინგლისელების დესპოტიზმის წინააღმდეგ წინა-აზიაში და ფანატიზმის გაღვივება ამ ხალხში სარწმუნოების შელახვის ნიადაგზე, რომელშიც ბრალს სდებდენ, რასაკვირველია, ინგლისელებს.

მოძრაობამ მეტათ სერიოზული ხასიათი მიიღო, თვით სიპაები და პოლიციაც საიმედო არ აღმოჩნდა ამ აჯანყებულებთან ბრძოლაში, მათ თვით მიაწოდეს უკანასკნელთ იარაღი, და ინგლისი ერთხანს საფიქრებელში იყო ჩავარდნილი. მაგრამ იმავე ფანატიზმმა მალე დაღუპა მოძრაობა. მოილები, როგორც მუსლიმანები ვერ ითმენენ ბრამინებს (ინდოეთი კი უმთავრესათ ბრამინთა სარწმუნოების მიმდევარი ტომებით არის დასახლებული) და ამ სარწმუნოების ხალხსაც ისე მოექცენ აჯანყების დროს, როგორც ინგლისელებს, დაუწვეს სამლოცველო სახლები, მოკლეს ბევრი მათგანი და სხვ. ამის შემდეგ ინგლისისთვის ძნელი არ იქნებოდა აჯანყებულთა დამშვიდება; და იგი მართლაც განხორციელებულ იქნა მას შემდეგ, რაც ინგლისმა ახალი ჯარი მიიყვანა, ზღვიდან ჯავსნოსანი მიაყენა აჯანყებულთ და მრავალი მათგანი ბრძოლაში დახოცა.

ამ აჯანყებულთა გარდა სხვა ტომებსაც დიდი მღელვარება ემჩნევა ინდოეთში, რასაც ინდოეთის ადმინისტრაცია ოფიციალურათ აცნობებს ლონდონს. დაფარული არ არის ისიც, რომ ყველა ამაში ურევია ხელი და ფული ქემალის და მისი მეგობარი რუსეთის კომუნისტების.

აი ეს გარემოება გახდა ერთი მთავარი მიზეზთაგანი ამ უკანასკნელ დღეებში გამოქვეყნებულ კერზონის ნოტისა მოსკოვის მფლობელთადმი, რომელიც მომასწავებელია იმის, რომ ინგლისმა დაგარგა უკვე იმედი მოლაპარაკებით და პირობის დადებით რაიმეს გაკეთებისა რუსეთთან.

ამა წლის დამდეგს, როგორც ვიცით კრასინმა ხელშეკრულება დასდო ლონდონთან, რომლითაც რუსეთმა უფლება მიიღო ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოებში თავისუფალ მოქმედების, და სამაგიეროთ დადვა პირობა ინგლისის ინტერესებს არ შეხებოდა არც ევროპაში და არც ინდოეთში. ამასთანავე დაიდვა საეპტრო ხელშეკრულებაც, რომელსაც უნდა გაეცხოველებია ამ ორ ქვეყნის შორის კომერციული ურთიერთობა, რასაც ასე დაჟინებით მოითხოვდენ ინგლისის მრეწველებიც და მუშებიც, თუნცა სხვა და სხვა მოტივებით...

მაგრამ კაპიტალისტების იმედები არ გამართლდა, საეპტრო რუსეთს არაფერი აღმოაჩნდა გარდა ოქროსი, რომელიც უკვე გამოილია. მუშებიც მალე დარწმუნდენ, რომ კომუნისტები ნამდვილი ანტი-მუშური ბუნების არიან, და მათ ზურგი შეაქციეს. ამავე დროს რუსეთის კომუნისტებმა თავის აღმოსავლეთის პოლიტიკა არ მიატოვეს. პირიქით იგი კიდევ უფრო გააძლიერეს და ასე «მეგობარ» ინგლისს ზურგიდან მახვილის ჩაცემას უპირებენ.

ამ რიგათ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მომავალ შესაძლებლობას კონცესიებით თუ სხვა გზით რუსეთის ექსპლოატაციისა, რომელიც დადგება ბოლშევიკების ჩამოვარდნის შემდეგ, დღეს-დღეობით ყოველი მოტივი ინგლის-რუსეთის ხელშეკრულობის გაგრძელისა მოსპობილია. კიდევ მეტი. ბოლშევიკების აქტივობა აღმოსავლეთში დღეს იმდენათ აშკარაა, რომ უვარგისობა და მაენებლობა ამ ხელშეკრულების ცხადი უნდა იყოს ინგლისის საზოგადოებრივი აზრისათვის.

რაც შეეხება პოლიტიკურ წრეებს და მით უმეტეს ინგლისის დიპლომატიას, მათ არასოდეს არ ჰქონიათ რაიმე ილუზიები ამ ხელშეკრულების მნიშვნელობის შესახებ. ამას მოწ-

129/6

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობს, თუნდა ის სიტყვა, რომელიც ამ ერთი თვის წინეთ წარმოსთქვა თემთა პალატაში საგარეო საქმ. მინ. კერზონმა და რომელშიაც მან დაასურათა მთელი საშიშროება ბოლშევიკებთან რაიმე საქმის დაჭერისა. მან მაშინვე აღნიშნა, რომ ინგლისს თავის ნაბიჯების გამო კომუნისტურ რუსეთისადმი, მალე დაჭირდება სერიოზული ჩაფიქრება სპარსეთის და აგრეთვე ინდოეთის მდგომარეობითო და დღეს, როდესაც ეს გამართლდა, იგივე კერზონი მეტათ სერიოზულ ნოტას უგზავნის ჩიჩერინს. ამ ნოტაში ბოლშევიკებს აბრალებს პირობის დარღვევას:

ა) იმაში, რომ მოსკოვის მთავრობა მე-3 ინტერნაციონალის საშვალებით, რომელიც ფაქტიურათ მისი ფილიალური განყოფილებაა, განუწყვეტლივ ეწევა მტრულ აგიტაციას და მოქმედებას ინგლისის წინააღმდეგ;

ბ) იმით, რომ ინდოეთის რევოლიუციონერებს აქეზებს ბრიტანეთის წინააღმდეგ;

გ) სპარსეთში ინგლისის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს;

დ) მხარს უჭერს ანგორის მთავრობას და ეხმარება მას ფულით და იარაღით, რის გამო ქემალი წინააღმდეგი ხდება მოკავშირეებთან შეთანხმების.

ე) აძლიერებს ავღანისტანში თავის მოქმედებას, ინდოეთში ინგლისის ბატონობის მოსასპობათ. ქ. ქობულში (ავღანისტანის სატ. ქალაქია) ბომბების ქარხანას აწყობს, ავღანის ემირს 100,000 გირ. სტერლ. პირდება წლიურ დახმარებათ, ჯემალ ფაშის საშვალებით ცდილობს ინდოეთის მოსაზღვრე ტომების აჯანყებას.

ამ რიგათ ზავის და მორიგების გაზაფხული იწურება და ყვავილი შეთანხმებისა გაუფურჩქვნელათ ჭკნება. და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინგლის-რუსეთის ურთიერთობა უკვე შედის ახალ ფაზისში, რომელიც უფრო მეტი აქტივობის ხანა იქნება ორივეს მხრივ...

მოსკოვის კომისრების მიერ საერთაშორისო პოლიტიკური «თვალ-ახვევიას» თამაში,—ევროპის კაპიტალისთვის მსუქანი ნაჭრების შორიდან ჩვენება და მეორე ხელით თავის კომუნისტური იმპერიალიზმის განხორციელება,—დღეს ვეღარავის შეიყვანს შეცდომაში...

საბერძნეთ-ქემალისტების ომი

ომის უკანასკნელი ორი კვირა შედარებით სიწყნარით ხასიათდება. ბერძნების ჯარი უკან იხევს, და ესკი-შეირის მთავარ სიმაღლეებზე მაგრდება. ქემალის ჯარი მათ ფეხდაფეხ მოყვება, მაგრამ, როგორც სჩანს სამხედრო ცნობებიდან, მნიშვნელოვანი ზარალი ბერძნების ჯარისთვის აქამდე არ მიუყენებია. ამ ბოლო დროს ემჩნევა აქტივობა ოსმალოებს აფიონ-კარა-ისარის რაიონში უმთავრესათ კავალერიას. ყოველ შემთხვევაში მდ. საქარიაზე ბერძნების დამარცხებამ მეტათ გაართულა და გააჭიანურა აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტა. ერთი იმიტომ, რომ ეს გამარჯვება არ მოასწავებს საბერძეთის საბოლოო დამარცხებას, და იმედს არ უკარგავს უკანასკნელს. ამიტომ იგი არ შეიცავს დიდ საბუთს ზავისას.

მეორეთ იმიტომ, რომ იმედებს უღვიძებს ქემალს, რომელმაც უკვე მიიღო წოდება ფელდმარშალის დიდი ნაციონალური კრებისაგან და სახელი «ფათიხი»-ს (უძლეველის) და მისი მოთხოვნილება, რომელიც მიმართულია არა მარტო ბერძნებისადმი, არამედ ევროპის მოკავშირე სახელმწიფოებისადმი, თანდათან იზრდება.

მართლაც ევროპის პრესაში შეიქნა ლაპარაკი ზავზე და მოსაშვალეობაზე, მაგრამ ბერძნებს არ სურთ დათმონ ის, რაც უკვე იარაღით აქვთ მოპოვებული მცირე აზიაში, ეს კი მიუხედავათ უკანასკნელი უკან დახევისა მაინც ძალიან დიდი ტერიტორიაა. ოსმალები კი, უკანასკნელი გამარჯვებით გათამამებულნი, მოითხოვენ მთელი მცირე აზიის სავსებით დაცლას, და ევროპის კონტინენტზე სტამბოლთან ერთათ ადრიანოპოლის და ფრაკიის დაბრუნებას; ერთი სიტყვით ისეთ ტერიტორიებს, რომლებამდე მათ იარაღით მისვლა არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ.

ამ რიგათ საზამთრო კამპანია აუცილებელი ხდება, ომი ჭიანურდება. ჩვენ არ ვკისრულობთ წინასწარმეტყველებას, თუ რომელ მხარეს მოუტანს სარგებლობას ომის გახანგრძლივება. მაგრამ ერთი ცხადია, ორივე მხარეს იგი ძლიერ დაასუსტებს, ხოლო ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ასე თუ ისე გადაჭრას დააგვიანებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკების თავდასხმა საქართველოზე.

(წერილი «ფორვარდის» რედაქციას)

მ. ხ. მე დიდის ყურადღებით წავიკითხე თქვენს გაზეთში (20 აგვ. და 3 სექტ. №№-ში) მოთავსებული წერილები ბ-ნ ა. პ. ლ.-სი. *)

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ თავის პასუხში ამ ავტორისადმი, თქვენი რედაქცია მტკიცეთ აღიარებს ყველა სოციალისტისთვის დიდათ მნიშვნელოვან «ერთა თვითგამორკვევის უფლების» პრინციპს.

ბოლშევიკების მთავარი დანაშაული ჩვენი ქვეყნის მიმართ სწორეთ ამ პრინციპის დარღვევაა, და როგორც თქვენ სამართლიანათ აღნიშნეთ ბ-ნ ა. პ. ლ.-მ ერთი საბუთიც კი ვერ მოიყვანა ამ დანაშაულის გასამართლებლათ ან შესამსუბუქებლათ.

მაგრამ ბ-ნ ა. პ. ლ. თავის წერილში ისეთ რამეებს ამტკიცებს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, და ამიტომ მე ჩემს მოვალეობათ მივიჩნიე თქვენი მკითხველების წინაშე ამ მცირე პასუხით გავფანტო ყოველივე გაუგებრობა.

1. საქართველოს მთავრობა ისეთსავე მდგომარეობაშია დღეს, როგორშიაც იყო რუსეთის დროებითი მთავრობა 1917 წელს პეტროგრადში ბოლშევიკურ გადატრიალების შემდეგო, აცხადებს წერილის ავტორი. ეს შედარება მართალი იქნებოდა, რომ ჩვენში ადგილი ქონოდა შინაურ გადატრიალებას, როგორც ეს მოხდა რუსეთში. მაგრამ საქმე იმაშია, რომ საქართველოში არავითარი გადატრიალება არ მომხდარა, მოხდა ბოლოდ დაპყრობა ამ ქვეყნისა უცხო ჯარისაგან. მაშასადამე ჩვენ დაახლოვებით ისეთსავე მდგომარეობაში ვიმყოფებით, როგორშიაც იყო ბელგიის მთავრობა, როცა თითქმის მთელი მისი ტერიტორია გერმანიის ჯარებს ეჭირა.

ცხადია, ბ-ნ ა. პ. ლ.-მა ამ უვარგისს შედარებას მიმართა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მიეფუჩეჩებია უმთავრესი ფაქტი—სახელოობრ ის, რომ მოსკოვის მთავრობამ საქართველოს წინააღმდეგ ჯარები გამოგზავნა, რომ ჩვენი ხალხი მთელ თავის ძალღონით შეებრძოლა მათ, მაგრამ ვერ შესძლო შემოსეული მტრისგან დაცვა თავის ქვეყნის თავისუფლების, და რომ ახლა საქართველო ოკუპანტების ხელში იმყოფება.

2. წერილის ავტორი ამტკიცებს, თითქოს საქართველოს კავშირი ქონოდეს დენიკინთან. ეს ყოველივე სიმართლეს მოკლებული მტკიცებაა. ჩვენი დამოკიდებულება დენიკინთან პირველი დღიდან უკანასკნელამდე უარყოფითი იყო. ჩვენ არც შეგვეძლო სხვაგვარათ შეგვეხედა რეაქციონური გენერლისთვის. გენერალი დენიკინი ერთში სავსებით ეთანხმებოდა ბოლშევიკებს—ეს იყო ერთა თვითგამორკვევის უფლების უარყოფა. მას სავსებით შესაძლებლათ მიაჩნდა გარეშე ძალის საშვალებით არსებული პოლიტიკური წყობილების დანგრევა და მის ნაცვლათ ახალის დამკვიდრება. ჩვენ კი ასეთ შეხედულებას არასოდეს არ ვიზიარებდით. ამიტომ ჩვენ გადაჭრით უარვყავით დენიკინის წინადადება, რომელიც გვთხოვდა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში დავხმარებოდით. ამან გამოიწვია ის, რომ დენიკინმა ჩვენ ბოლშევიკების მეგობრებათ გამოგვაცხადა და ჩვენს წინააღმდეგ თავის ჯარით გამოილაშქრა. თუ ბ-ნი ა. პ. ლ. კითხულობდა ინგლისურ გაზეთებს 1918—1819 წლებში, მას ეცოდინება, რომ საქართველო მთელი წლის განმავლობაში ებრძოდა ფაქტიურათ გენ. დენიკინის ლაშქარს. საერთოთ დღიდან ბოლშევიკურ გადატრიალებისა რუსეთში, ჩვენ ყოველთვის, ყველა კომპენტენტურ კრებებზე ვაცხადებდით, რომ წინააღმდეგი ვართ რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევის და ამ აზრს საერთაშორისო მასშტაბითაც ვიცავდით.

3. წერილების ავტორი ჩემს ინტერვიუში, რომელიც გაზ. «ტაიმს»-ში დაიბეჭდა, ბურჟუაზიულ პაციფიზმის (ზავის მომხრეობა) ნიშნებს პოულობს და აქედან ასკვნის: სჩანს, მას (ე. ი. მე) და საქართველოს მთავრობას «ბურჟუაზიული ფსიხოლოგია» ქონიათო. მაგრამ ამის მთქმელს ცხადია ნათელი წარმოდგენა არ უნდა ქონდეს იმაზე, თუ რა განსხვავებაა ბურჟუაზიულ და სოციალისტურ პაციფიზმს შორის.

*) ბ-ნ ა. პ. ლ.-ს წერილის შინაარსი და რედაქციის შენიშვნა ამავე ნომერშია მოთავსებული. (იხ. გვ. 7).

რედ.

ეს განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ ბურჟუაზიული პაციფისტები კაპიტალისტური წყობილების ფარგალში ერთგვარი შეთანხმების საშვალებით ცდილობენ სამუდამო მშვიდობიანობას მიაღწიონ. ჩვენ, სოციალისტები, კი ვფიქრობთ, რომ «ბურჟუაზიული სამუდამო მშვიდობიანობა» სრული უტოპიაა, და რომ ომების თავიდან ასაცილებლათ დღევანდელი საზოგადოების ძირიანათ გარდაქმნა აუცილებელია. მაგრამ ეს განსხვავება თეორეტიულ შეხედულებაში ხელს არ უშლის სოციალისტებს ბურჟუაზიულ პაციფისტებთან ერთად იმოქმედონ ამა თუ იმ კონკრეტულ შეიარაღებულ კონფლიქტის თავიდან ასაცილებლათ ან გამოსძებნონ საშვალება უკვე დაწყებული ომის და სისხლის ღვრის შესაჩერებლათ. და რა გასაკვირველია, რომ ჩემი ნაჩვენები ზოგიერთი ზომები ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანობის ჩამოსაგდებათ ეთანხმებოდეს ბურჟუაზიულ პაციფისტების შეხედულებას ამაევ საგანზე.

4. საქართველოზე ბოლშევიკების თავდასხმის გასამართლებლათ ავტორს ის მოკავს საბუთათ, რომ ამით ბოლშევიკებმა გაა-ართოვეს საზღვრები იმ ძალა-უფლების, რომელსაც იგი «საბჭოთა ძალა-უფლებას» უწოდებს და რომელიც ნამდვილათ მხოლოდ სამხედრო დიქტატურას წარმოადგენს. ეს ამაო ცდაა—ბოლშევიკების იმპერიალისტურ შემოსევისთვის იაკობინელების «რევოლიუციურ ომების» და «საპროპაგანდო ომების» თეორიის მიყენების. ნამდვილათ იმ ომებ შორის, რომელსაც აწარმოებდა საფრანგეთის რევოლიუციური კონვენტი ევროპის ფეოდალურ არმიების წინააღმდეგ და პატარა თავისუფალ საქართველოს რესპუბლიკაზე რუსეთის თავდასხმის შორის არავითარი მსგავსება არ მოიპოვება. ამას გარდა, როგორ გნებავთ შეუთანხმოთ ხიშტებით იდეის პროპაგანდა—ხალხთა თვითგამორკვევის იდეას? საფრანგეთის დიდ რევოლირციაში იაკობინელებმა წამოაყენეს ლოზუნგი «რევოლიუციური ომების», იმიტომ, რომ ეგონათ გარედან შესევითა და დაპყრობით შეიტანდენ ევროპის ხალხში ახალ წყობილებას. სოციალისტები კი ასეთ თეორიას უარყოფენ არა მარტო იმ პრაქტიკული მოსაზრებით, რომ ამ ომებმა იაკობინელების და ნაპოლეონის ეპოქაში სრული დამარცხება განიცადეს, არამედ წმინდა თეორიული მოსაზრებითაც. თანამედროვე სოციალიზმის მოძღვრება კლასთა ბრძოლის თვალსაზრისზე დგას და ამიტომ იგი აღიარებს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობილების შეცვლას მხოლოდ კლასთა ბრძოლით და არა გარედან თავდასხმის მოწყობით. ამაზეა აშენებული პრინციპი ერთა თვითგამორკვევის. სამხედრო ავანტიურები კი მხოლოდ აბნელებენ პროლეტარიატის კლასობრივ შეგნებას და იწვევენ ნაციონალურ მტრობის გამწვავებას. ცხადია იაკობინელების თვალსაზრისზე დადგომით ბოლშევიკებმა საბოლოოთ გასწყვიტეს კავშირი სოციალიზმის მთავარ საფუძვლებთან.

აქ უადგილო არ იქნება მოვაგონო იმათ, ვისაც ასე იზიდავს «საპროპაგანდო ომების» თეორია, რომ ასეთ ომებს თავის ლოღიკა აქვს —ისინი ნიადაგს უმზადებენ გაბედულ გენერლის გაბატონებას და ბონაპარტიზმის დამყარებას.

5. როცა ავტორი საქართველოზე ბოლშევიკების თავდასხმის გამართლებას ცდილობს, იცის კი მან რა პოლიტიკური მდგომარეობა იყო საქართველოში ბოლშევიკური ჯარის შემოჭრის წინ? იცის, რომ ჩვენში გაბატონებული იყო სრული დემოკრატია? გვგონია, რომ არ იცის. ჩვენში კი ამ დროს ხალხი თავის არჩეული პირების საშვალებით განაგებდა ყველა თავის საქმეებს. დიდი ხმის უმრავლესობით მან სოციალისტებს ჩააბარა ქვეყნის მართვა-გამგეობა. და სოციალისტურმა მთავრობამ გაატარა რადიკალური მიწის რეფორმა, ჩამოართვა მსხვილ მემამულეებს მიწა უფასოთ და დაუტოვა თვითეულ მათგანს იმდენი, რამდენის მოვლაც მას თავის შრომით შეეძლო. ჩამორთმეულ მიწის ერთი ნაწილი შემდეგ გლეხებს გადაეცა. დანარჩენი მიწები კი, კერძოთ მსხვილი კულტურული მამულები, სახელმწიფოს და ადგილობრივ თვითმართველობებს დარჩათ საექსპლოატაციოთ. მუშათა კანონმდებლობის სფეროში საქართველოს მთავრობამ გაატარა შემდეგი რეფორმები: 8 საათის სამუშაო დრო, შრომის ფართო დაცვა, ბავშვთა ან ქალთა შრომის შეზღუდვა, კოლექტიური მუშათა ხელშეკრულება, არჩეული მუშათა ინსპექცია, მილება-დათხოვნა მუშათა კავშირების და პარიტეტული შრომის ბირჟების საშვალებით, საატარიფო პალატა შრომის ყველა სადაო საკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხების მოსაწესრიგებლათ და განსაკუთრებით სამუშაო ხელფასის საერთო სიძვირესთან შესათანხმებლათ და სხვ. ეკონომიურ სფეროში განხორციელებულ იქნა ნაციონალიზაცია რკინისგზების, მადნების, ტყეების, წყლის ენერგიის, ან საგარეო ვაჭრობის მთავარი დარგების. ამ ზომების მიღებით და დემოკრატიული ადგილობრივ თვითმართველობათა და კოოპერატივთა სამეურნეო მოღვაწეობით საფუძველი ჩაეყარა დემოკრატიულათ მოწყობილ სახელმწიფოს გარდაქმნას სამეურნეო ორგანიზაციათ, რომელიც სავსებით შეეფერება ჩვენს სოციალისტურ იდეალებს. მოკლეთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ განახორციელა სავსებით სოციალისტური პროგრამა მინიმუმი და პროგრამა მაქსიმუმის განხორციელების წინაშე დადგა. თუ ყოველივე ეს «ბურჟუაზიული ფსიხოლოგიის» გამოხატულებაა, მაშინ რაღა მიაჩნია ბ-ნ ა. პ. ლ.-ს «პროლეტარულ ფსიხოლოგიათ»? ან იქნება, მისი აზრით, «პროლეტარული ფსიხოლოგია» იმაში მდგომარეობს, რომ უმრავლესობის ნება უარყო, უხეშ ძალაზე დაეყრდნო, ტერორით მართო ქვეყანა და ყოველივე დაანგრიო და სამაგიეროკი არაფერი შექმნა?

ასეთი პოლიტიკის შედეგი მას უკვე აქვს საბჭოთა რუსეთში. ჩვენ, სოციალისტები, რომელთაც საქართველოს ხალხმა მოგვანდო მართვა-გამგეობა შეგნებულათ ვამაყობთ იმით, რომ $3^1/_2$ წლის განმავლობაში ეიფარავდით ქვეყანას ამ დამღუპველ პოლიტიკის გავლენისაგან.

დღეს ეს პოლიტიკა მეფობს საქართველოშიაც, მაგრამ მეფობს მხოლოდ მოსკოვის ხიშტების წყალობით, ხალხის ნება-სურვილის წინააღმდეგ. და მე არ მეგონა, თუ გამოჩნდებოდა თუნდაც ერთი კეთილგონიერი ინგლისელი, რომელიც გაბედავდა საჯაროთ ტაში დაეკრა ამ ბოროტმოქმედებისათვის!

ნ. ჟორდანია.

ჩვენ და რუსეთი.

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ ქართველი ხალხი გადაჭრით უარყოფს ბოლშევიკური რუსეთის ოკუპაციას და საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენას მოითხოვს. ბოლშევიკების შემოსევამ საბოლოოთ გასწყვიტა ის ძაფი, რომელიც საქართველოს ზოგიერთ კუთხეებსა და წრეებს რუსეთთან რამდენიმეთ კიდევ აკავშირებდა.

მაგრამ ამჟამათ საქართველო ძალაუნებურათ მომწყვდეულია იმ უზარმაზარ სატუსაღოში, რომელსაც რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა ეწოდება. ცხადია, ამ პირობებში ჩვენ არ შეგვიძლია გულგრილათ ვუცქიროთ რუსეთის ამბებს, თვალი არ ვადევნოთ მის მაჯის-ცემას და იქ არსებულ ძალთა შეხლა-შემოხლას. საკმარისია რუსეთის ვითარებას დაუკვირდეთ, იქაურ ამბებს გაეცნოთ, რომ ერთი, პირველი შეხედვით საკვირველი მოვლენა უთუოდ აღნიშნოთ. ყველა განაპირა ქვეყნები ბოლშევიზმს ოპოზიციაში უდგია, მას ხშირათ იარაღით ხელში ებრძვიან, ხოლო შიდა რუსეთი, ველიკოროსია, კომუნისტთა უღელს შედარებით ადვილათ იტანს და ემორჩილება. ამ ოთხი წლის განმავლობაში ბოლშევიკური რუსეთის უღელი ჩამოიშორეს: ფინლიანდიამ, ესტონეთმა, ლატვიამ და ლიტვამ; უკრაინა და ბელორუსია მრავალჯერ აჯანყდენ, დონისა და კუბანის ყაზახები გენერალ დენიკინთან ერთად ქ. ტულას მიუახლოვდენ, აღმოსავლეთ ციმბირმა შესძლო ჩეკისტების ბორკილების დამსხვრევა, ხოლო საერთოთ ციმბირი, აგრეთვე თურქესტანი არა ერთხელ ცდილან საბჭოთა დესპოტიზმისაგან განთავისუფლებას. მეორე მხრივ, განაპირა ქვეყნების ანტი-ბოლშევიკურ ძალებმა რამოდენიმეჯერ სცადეს ბოლშევიზმის შემუსვრა თვით ველიკოროსიასა და მის უმთავრეს ქალაქ მოსკოვში, მაგრამ ამაოთ. მოკლეთ, კომუნისტური ველიკოროსია სისტემატიურათ იგერიებს განაპირა ქვეყნებიდან [illegible] ანტიბოლშევიკურ ტალღას, და შემდეგ მოგერებიდან თავდასხმაზე გადადის და წითელი დროშით ხელში ძველი იმპერიალისტური რუსეთის მიზნებს ახორციელებს.

რაშია საქმე? სად მარხია ბოლშევიზმის ძა-

ლა-გავლენა? საჭიროა ამის კარგათ აწონ-დაწონა და რუსეთის ბედის გათვალისწინება განსაკუთრებით დღეს, როცა კომუნიზმის გაცვეთილი დროშა თანდათან დაბლა ეშვება და ის სამარისაკენ მიემართება.

ველიკოროსიას სათემო მიწათმფლობელობა ახასიათებს. თემი, «ობშჩინა» მისი წარმოების საფუძველია. სათესლეს არჩევა, ხვნათესვისა და მკის ვადა, ყველაფერი თემის საქმეა. მოკლეთ, თემი ბატონია, ხოლო კერძო მოქალაქე მისი ნების უსიტყვოთ ამსრულებელი და მაჩანჩალა; თვით თემის ზევით ამართულია სახელმწიფო მთელი თავისი ძალდატანებითი აპარატით. ადგილ-მამული «ღვთისა და ხელმწიფისაა», როგორც ძველათ ამბობდენ, ახლა კი საბჭოთა რესპუბლიკის ხელშია. ლენინმა სისხლი და ხორცი შეასხა ნაროდნიკთა უტოპიას, მიწის სოციალიზაციას და ის თავისი ბატონობის ქვაკუთხედათ გამოიყენა. და აი ამ თემზე ჯერ მეფის თვითმპყრობელობა განმტკიცდა, ხოლო ამ ქამათ მას ლენინის დიქტატურა დაეყრდნო. მართლაც, თემი კერძო თაოსნობის უარყოფაა, კერძო მოქალაქეთა სურვილის დატუქსვაა. აი სათავე დესპოტიზმისა რუსეთში, რომელიც ფაქტიურათ უცვლელია. მეფის თვითმპყრობელობის ნაცვლათ ამ ქამათ კომუნისტთა მცირე ჯგუფი ბატონობს. მეფე არ ინდობდა არც ერთ მოქალაქეს და არც ერთ ჯგუფს, ვინც მის «ღვთიურ» ავტორიტეტს ებრძოდა. ბოლშევიზმი ხვრეტს და ქლეტს ყველას, ვინც ლენინის ბრძანებას არ ემორჩილება და მას მტრობს. აქ გამოიცვალა ბატონი, მეფის ადგილი ლენინმა და მისმა ჯგუფმა დაიკავა, ხოლო თვით დიქტატურა უცვლელია და მისი ეკონომიური საფუძველი—მიწის სათემო მფლობელობა—ჯერ კიდევ მტკიცეა. რუსეთში მოხდა ის, რასაც ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ჩინეთის და ინდოეთის დესპოტია დიდ მდინარეთა გარშემო მოეწყო, არხების გაყვანასა და ადგილ-მამულის ფართო მასშტაბით მორწყვაზე აეგო. აქაც ყველაფერი დამოკიდებულია სახელმწიფოზე, სასოფლო მეურნეობის ბედი მეფეთა და მათ მიერ დანიშნულ მოხელეთა ხელშია, ხოლო თვით ხალხი, მსგავსათ რუსეთისა, თემში ჩაეფენილია და ყოველივე თაოსნობას მოკლებულია. ერთნაირი მიზეზი ერთნაირ შედეგებს წარმოშობს. სწორეთ ამით აიხსნება, რომ ბოლშევიზმი ველიკოროსიის სრული ბატონ-პატრონია, მისთვის ტონისა და ბრძანების მიმცემია. სამაგიეროთ მას ვერ ურიგდება ვერც ერთი ხალხი, რომელიც კერძო თაოსნობას მიჩვეულია, რომელსაც მოძველებული სათემო ურთიერთობისათვის თავი დაუღწევია და პარლამენტარულ წესებს გაცნობია. ბოლშევიკები ერთი დაკვრით დამარცხდენ გერმანიაში და უნგრეთში. ამ უკამასკნელში მათ ერთხანს იბატონეს და აქ ამ «წითელმა» დიქტატურამ შავი რეაქცია გამოიწვია.

ბოლშევიზმი მოასწავებს არა საწარმოო ძალთა განვითარებას, არამედ ნაწარმოებთა და პირველ-ყოვლისა სურსათ-სანოვაგის განაწილებას. ლენინის კომუნიზმი ეყრდნობა არა მარქსიზმს, რომელიც ცდილობს წარმოების მოწესრიგებას საწარმოო ძალთა საზოგადოების ხელში გადასვლით, არამედ ლუმპენპროლეტარიატის მიდრეკილებას, წინეთ დაგროვილი სიმდიდრე ურთიერთშორის გაინაწილონ და სხვისი გაძარცვით უდარდელათ და უშრომლათ იცხოვრონ. და აი ლენინმა ველიკოროსიაში საუკეთესო ასპარეზი იპოვა, წინანდელ თაობათა მიერ დაგროვილი სიმდიდრე ერთიან გაანადგურა და მთელ ქვეყანას თავს დაატეხა ეკონომიური კატასტროფა და წარმოუდგენელი შიმშილობა. ველიკოროსია სავსებით აოხრდა, ვინაიდან გლეხკაცობა ბოლშევიკურ დიქტატურას დაემორჩილა. მას წაერთვა პური და ტანსაცმელი, მას ხელიდან გამოგლიჯეს სამუშაო საქონელი და ყველაფერი კომუნისტურ პარტიას და ლაშქარს მიართვეს. ბოლშევიზმი სახელმწიფოებრივი ბანდიტიზმია. ის არაფერს ქმნის, ხოლო სჭამს; ის არ აწარმოებს, მაგრამ ძარცვავს და აოხრებს.

საბჭოთა რესპუბლიკა, «წითელი» ჯარის ხიშტებს ეყრდნობა. რომ ეს ჯარი არჩინონ და მით თავისი ბატონობა გაიხანგრძლივონ, ბოლშევიკები იძულებული არიან განაპირა სახელმწიფოებს შეესიონ, ახალ-ახალი ქვეყნები დაიპყრონ და ისინი გაძარცვონ, კომუნისტთა ეკონომიური პოლიტიკა მათ შავ იმპერიალისტთა ბანაკში მიერეკება. ბოლშევიზმმა მეფის თვითმპყრობელობის აგრესიული პოლიტიკა უაღრესათ განავითარა, ის მილიტარიზმისა და იმპერიალიზმის მთავარი ბურჯი შეიქნა.

და აი განაპირა ქვეყნების წინაშე საშიში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილემა დგება: ან ბოლშევიზმი არჩინე, მას პური და ტანსაცმელი აძლიე, ან და მას შეებრძოლე და მისი ბატონობა შემუსრე. ყოფილი იმპერიის არც ერთი განაპირა ქვეყანა ველიკოროსიას არ წაგავს, არსად სათემო მიწათმფლობელობას ადგილი არა აქვს, ან და იგი იქ უმნიშვნელო გამონაკლს წარმოადგენს. და აი ეს ქვეყნები ველიკოროსიას კულტურულათ სჯობნიან, ბოლშევიკურ ბანდიტიზმს ვერ ურიგდებიან და კომუნისტთა ბატონობისაგან განთავისუფლებას ეტრფიან.

ძველი რუსეთი ძლიერი იყო თავისი სამრეწველო ცენტრებით: მოსკოვით, პეტროგრადით და ურალით. საქართველო და სხვა განაპირა ქვეყნები ამ ცენტრებთან ეკონომიურათ გადაჯაჭვული იყვენ და მით რუსეთის სახელმწიფოსთან კავშირის საჭიროებას აღიარებდენ. ბოლშევიკურმა ექსპერიმენტებმა სწორეთ ეს ეკონომიური კავშირი მოსპო, წარმოება დასცა და სამრეწველო ცენტრები სავსებით გაანადგურა. რუსეთის ამ საუკეთესო რაიონებში თითქმის ყველა ფაბრიკა-ქარხანა დახურულია, ხოლო მუშებმა თავი შეაფარეს სოფელს ან და წითელ არმიაში მოიკალათეს. ამ გარემოებამ განაპირა ქვეყნების სეპარატიზმი გააძლიერა, თვითგამორკვევის იდეას მტკიცე ეკონომიური საფუძველი მისცა და ის ყველგან სწრაფათ განავითარა. უკრაინელები და ბელორუსები დამოუკიდებელ სახელმწიფოს აგებას ეტრფიან, რომ ბოლშევიკური ექსპერიმენტებისაგან თავი დაიხსნან და კომუნისტური ველიკოროსიის წინააღმდეგ გარდაუვალი კედელი აშართონ. ამავე გზას დაადგენ თვით დონისა, ყუბანისა, თერგისა და ურალის ყაზახებიც თუნდაც დროებით, სანამ ხანგრძლივი რეაქციის ცეცხლიდან, როგორც ისინი ამბობენ, დემოკრატიული რუსეთი აღდგება. პური ჩვენ, ხოლო კომუნიზნი და ბანდიტიზმი ველიკოროსიას—ასეთია ამ ხალხთა ლოზუნგი. ბოლშევიზმმა თავისი დასაკლავი დანა თვითვე მოთხარა, მისმა პოლიტიკამ ყოფილი რუსეთის იმპერია სავსებით დაქსაქსა და სოციალისტური ინტერნაციონალის მიერ წამოყენებული ლოზუნგი ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ დღის წესრიგში დააყენა და მას ხორცი შეასხა.

დამოუკიდებლობის იდეა განსაკუთრებით ძლიერია უკრაინაში. აქ არ არსებობს არც ერთი ოდნავ გავლენიანი პოლიტიკური პარტია, რომელიც უკრაინის სრულ დამოუკიდებლობას არ აღიარებდეს. აქ ეროვნული მოძრაობა იმდენათ ძლიერია, რომ თვით ბოლშევიკები იძულებული შეიქნენ მოეხდინათ სკოლის სრული ნაციონალიზაცია, ხოლო თვით ხალხმა დაამხო რუსი-ხუცების ბატონობა და ეკლესიის სრული გაეროვნება განახორციელა. ამ ქვეყნებში მოხდა და ხდება ის, რაც ჩვენ საქართველოში ვიხილეთ. ბოლშევიკების იმპერიალისტურმა, და აშკარა მტაცებლურმა პოლიტიკამ გასწყვიტა განაპირა ქვეყნების ეკონომიური და იდეური კავშირი რუსეთთან.

ჩვენში სამუდამოთ დაიმარხა რუსეთის ორიენტაცია და გაჭრა მასთან დაკავშირების სურვილი. როგორც ქართველი ხალხი ვერ ურიგდება ოსმალეთს და მის ბატონობას ჩვენში, აგრეთვე ამიერიდან ის ვერასოდეს ვერ შეურიგდება რუსეთის ბატონობას და გავლენას საქართველოში.

საქართველო მოსწყდა რუსეთს და მის გავლენას მოშორდა. მაგრამ ამბობენ: გაიელის ხანი, ბოლშევიზმი დაემხობა, შიდა რუსეთი მოღონიერდება და კვლავ დაიწყება დაქსაქსულ ნაწილთა თავმოყრა და რუსეთის გაერთიანება, იმ ხანათ თვით კავკასიაშიაც მდგომარეობა გამოიცვლება და ხალხი ხელს კვლავ რუსეთისაკენ გაიშვერსო. ახლა ყური დაუგდეთ რუსეთის პოლიტიკურ პარტიებს, მათ შორის თვით სოციალისტებსაც კი. ისინი მუდამ ჭამს ჩაგვჩიჩინებენ, თქვენ ეკონომიურათ სუსტნი ხართ, უჩვენოთ ვერ იარსებებთო.

რაშია საქმე? ნუ თუ საქართველო ეკონომიურათ სუსტია, ხოლო ველიკოროსია ძლიერი?

თვალი გადაავლეთ თუნდაც ზერელეთ საქართველოს და თქვენ დარწმუნდებით, რომ საქართველო ბუნებრივათ მეტათ მდიდარ ქვეყანას წარმოადგენს. აქ მიწის ზედა პირი ნოყიერია, გარდა პურისა და სიმინდისა, ხარობს ბამბა და ვენახი, ყოველნაირი ნაზი მცენარეულობა განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სახელდობრ: ჩაი, ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი, თუთის ხე და სხვ. ჩვენი სამშობლო საკმაოთ მოიპოვება საძოვრებიც, რაიცა მეცხვარეობისა და საერთოთ მეჯოგეობის ნიადაგს წარმოადგენს. დედამიწის გულში თქვენ პოულობთ საუკეთესო ღირსების შავ ქვას, რომლის დამუ-

შავება ომამდე მსოფლიო წარმოების ნახევარს სპარბობდა; აქვე მოიპოვება კარგი ღირსების ქვანახშირის, სპილენძის, რკინის, ოქრო-ვერცხლისა და ნავთის მადნები; ამას დაურთეთ ორმილიონ დესეტინაზე მეტი საუცხოვო ტყე, მრავალი მდინარე, ელექტრონის ენერგიის დაუშრეტელი წყარო და სხვ. მოკლეთ თავისი სიმდიდრით საქართველოს ვერც ერთი პატარა სახელმწიფო ვერ შეედრება. მისი ეკონომიური განვითარების შესაძლებლობა უსაზღვროა.

საქართველო აზიასა და ევროპის შუა საუკეთესო ხიდია. საქართველო წინეთაც ძლიერ იყო დაკავშირებული ევროპასთან. ჩვენი შავი ქვის ბაზარს დასავლეთი ევროპა წარმოადგენდა. ომის და რევოლიუციის შეცდგებმა საქართველო უფრო და უფრო მოსწყვიტა რუსეთს და გადააჯაჭვა ევროპას, ხოლო საქართველო და კავკასია მჭიდროთ გადაბმული არიან სპარსეთთან და წინა აზიის სხვა ქვეყნებთან. საქართველო ევროპისა და წინა აზიის მოსაშვალის როლში გვევლინება და ეს ტენდენცია დღითიდღე გაძლიერდება. ამიტომ ჩვენი მომავალი პოლიტიკა ევროპისა და წინა აზიის ქვეყნებთან ეკონომიურ და პოლიტიკურ შეთანხმებაზე უნდა აეგოს. ახალი ახალი ეკონომიური ურთიერთობა ახალ პოლიტიკურ კომბინაციებს ამზადებს. სწორეთ შუა აზიის ქვეყნებში ეძლევა საქართველოს საუკეთესო ასპარეზი რომ თავის პოლიტიკური და ეკონომიური საქმიანობა გააძლიეროს.

ახლა დავუბრუნდეთ თვით რუსეთს. რუსეთის პოლიტიკური პარტიები, მათ შორის ზოგიერთი სოციალისტურიც კი ერთა თვითგამორკვევის იდეას ვერ შერიგებიან. ისინი ამბობენ: ერს უფლება აქვს თავისი ინტერესები დაიცვას, სახელმწიფოებრივი ცხოვრება მოაწესრიგოს, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს რუსეთის ეკონომიურ განვითარებას და მის სტრატეგიულ მიზნებსო. ეს კი აშკარა იმპერიალიზმ ა. ერთა თვითგამორკვევის უფლება პირველ-ყოვლისა კ. მარქსის მიერ შექმნილმა მუშათა ინტერნაციონალმა წამოაყენა და ეს დებულება მეორე ინტერნაციონალმა საერთაშორისო ურთიერთობის საფუძვლათ გამოაცხადა. ერს სრული უფლება აქვს თავისი ბედი თვითვე გადასწყვეტოს, თავისი მომავალი თვითვე გასწედოს და ამ შემთხვევაში არც ეკონომიურ და სტრატეგიულ ან სხვა რაიმე შემზღუდველ მოსაზრებას ადგილი სრულიად არ უნდა ჰქონდეს. თუ აღმოჩნდება, რომ თვითგამორკვეული ხალხი რომელმაც თავისი საკუთარი სახელმწიფო შექმნა, ეკონომიურათ სუსტი და უილაჯოა, ის თავის მოკავშირეს თვითვე მოსძებნის და შესაფერ წამალს თვითვე მიიღებს, რომ თავი დაღუპვისაგან გადაარჩინოს. ამის შემდეგ აშკარაა, რას მოასწავებს ზოგიერთ რუს პოლიტიკურ მოღვაწეთა მტკიცება, რომ აზერბეიჯანი დამოუკიდებლათ ვერ იარსებებს, ვინაიდან თავისი ნავთით ის პირდაპირ დაკავშირებულია რუსეთთანო. სწორეთ ასეთივე მოსაზრებებით გერმანიის იმპერიალისტები ბელგიის გაგლეჯას და ანტვერპენის შეერთებას ელტვოდენ. ასეთ იმპერიალისტურ ჩმახვას ზოგიერთი «სოციალისტები» წითელ სამოსელში კაზმავენ და მით ფაქტიურათ ძველი მეფის პოლიტიკას ადასტურებენ. ასეთ ვაკბატონებთან ჩვენი მოსაშვალე მხოლოდ ხმალია.

მთელ ამ კამპანიას ერთათ-ერთი აზრი აქვს. შიდა რუსეთი, ველიკოროსია ეკონომიურათ დასუსტდა და განაპირა ქვეყნების კუდში მოექცა. მართლაც ველიკოროსია ქრონიკული შიმშილობის ბუდე შეიქნა. წელს დამშეულია 35 მილიონი ხალხი. ეს მოხდა არა იმიტომ, როგორც ბოლშევიკები ამბობენ, თითქოს მოსავალი გვალვამ გაანადგურა. ეს მეორეხარისხოვანი მიზეზია. შიმშილობა ჯერ კიდევ თებერვალში დაიწყო. კომუნისტებმა ხალხი გაძარცვეს, მას პური სავსებით წაართვეს, თვით სათესლეც ხელიდან გამოაცალეს, აგრეთვე სამუშაო საქონელი მოსტაცეს, მომუშავენი ომის ველზე გაიწვიეს და სხვ. აშკარაა, დამშეული რაიონები დაუთესავი დარჩება და მომავალ წელს შიმშილობა კიდევ უფრო გაფართოვდება, ის ახალ გუბერნიებს მოედება და საყოველთაო ხასიათს მიიღებს. ველიკოროსია კატასტროფისაკენ მიექანება. მოისპო საწარმოვო ცენტრები, გაქრენ თვით საზოგადოებრივი კლასები, პირველ რიგში მუშათა კლასი და სამრეწველო ბურჟუაზია და მათი ადგილი დაიკავა ლუმპენ-პროლეტარიატმა და კომუნისტთა წრეებიდან გამოსულმა სპეკულიანტებმა. უკრაინა ეკონომიურათ გაცილებით უფრო ღონიერია. აქ ბოლშევიკთა ბატონობა ქალაქებსა და რკინის-გზის ლიანდაგს არ გაშორებია და ამიტომ გლეხკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცობამ თავისი ეკონომიური კეთილდღეობა გაცილებით უკეთ შეინარჩუნა. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ სწორეთ უკრაინა იყო ევროპის ბეღელი და პურით მარჩენალი. მას ჰქონდა დიდძალი შაქარი, დონეცის ქვანახშირის მაღაროები და სხვ. მეტალურგიული წარმოება აქ განადგურდა, ქვანახშირის ამოღება სავსებით დაეცა, ხოლო სასოფლო მეურნეობა ძლიერია და ხალხი დამშევისა და განადგურებისაგან უზრუნველყოფილია. ყოფილ რუსეთის იმპერიაში ხდება ის, რაც მოხდა ავსტრია-უნგრეთში: ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრების გადაცვლა. ჰამბურგების იმპერიიდან წარმოიშვა სამი სახელმწიფო—ავსტრია, უნგრეთი და ჩეხოსლოვაკია. გარდა ამისა გალიცია შეუერთდა პოლონეთს, ხოლო სამხრეთით მდებარე ტერიტორიის ნაწილები იტალიას, სამხრეთ სლავიას და რუმინიას. თვით ავსტრიამ დაკარგა თითქმის ყველა ინდუსტრიული ცენტრები და ამიტომაც ის პოლიტიკურათაც სრულიათ დაუძლურდა და ჩამოქვეითდა. ახალ სახელმწიფოთა შორის ყველაზე უფრო ძლიერია ეკონომიურათ ჩეხოსლოვაკია, მის ტერიტორიაზე იმყოფება ძველი იმპერიის ყველა სამრეწველო ცენტრები, იქ თავმოყრილია მთელი წარმოების ოთხი მეხუთედი და ამიტომაც ჩეხოსლოვაკია ძლიერია პოლიტიკურათ და სწორეთ მან იკისრა მცირე ანტანტის შექმნა და მისი ხელმძღვანელობა. ავსტრიის პოლიტიკოსები ოცნებობენ ქ. ვენას დაუბრუნონ წინანდელი გავლენა. ფუჭი ოცნებაა. ვენა მოისპო როგორც მონარქიულ-ბიუროკრატიული ცენტრი და მაშ ის მკვდარია, როგორც პოლიტიკური ცენტრი. ავსტრიას დარჩენია შეუერთდეს გერმანიას, ან და ამა თუ იმ გზით მცირე ანტანტას დაუკავშირდეს, სადაც პირველი როლი კვლავ ეკონომიურათ ძლიერ ჩეხოსლოვაკიის ხელში დარჩება.

რუსეთის იმპერიის დაშლის პროცესი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მაგრამ ერთი ახლაც აშკარაა: რუსეთის გაერთიანება მოსკოვიდან სრულიად შეუძლებელი ხდება. მოსკოვი იგივე ვენაა, ეკონომიურათ განადგურებულია, მის იმპერიალისტურ პოლიტიკას ყველგან სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ და ამიტომაც ის ყოველივე მიმზიდველობას მოკლებულია. კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში იმყოფება პეტროგრადი. უკრაინა და ბელორუსია, აგრეთვე კაზახთა ოლქები ველიკოროსიის და მის ცენტრებისადმი ზიზღით შეპყრობილნი არიან. მათგან მოელიან არა ჩითსა და შალს ან სხვა რაიმე საფაბრიკო ნაწარმოებს, არა კულტურას, არამედ ჩეკას, დამსჯელ ექსპედიციებს და მშიერთა ტალღებს, ხოლო ბოლშევიკების დაცემის შემდეგ ახალი მთავრობის მიერ იმპერიალისტურ პოლიტიკის გაგრძელებას, ნაკარნახევს სურვილით თვითგამორკვეულ ერების ხარჯზე გამოკვებონ ბოლშევიკების თარეშით გაპარტახებული ველიკოროსია. რუსეთი ახალი და თან ხანგრძლივი ანარქიის ტალღებისაკენ მიეშურება. და აი ამ აუცილებელი ანარქიისა და იმპერიალისტურ თავდასხმათა წინააღმდეგ ყველა განაპირა ქვეყანა ზღუდეებს აღლებს და თავის ბედს თავისსავე ხელებში იღებს. არა თუ უკრაინა და ბელორუსია, რომელნიც განსაკუთრებულ ერებს წარმოადგენენ, არამედ კაზახთა ოლქებიც, რომელნიც ეტნოგრაფიულათ ჭრელია და სადაც ველიკოროსთა გავლენა საკმაოთ ძლიერია, იულებული ხდებიან, თუნდაც დროებით, დამოუკიდებელი სახელმწიფონი მოაწყონ და თავისი ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება თავის გემოზე მოაწესრიგონ. რუსეთი, როგორც მთლიანი და განუყოფელი სახელმწიფო, ისპობა.

მაგრამ ადრე თუ გვიან რასაკვირველია რუსეთის ანარქიას ბოლო მოეღება და განახლდება ურთიერთობა ყოფილ იმპერიის ნაწილთა შორის. არც ერთ ხალხს უმეზობლოთ ცხოვრება არ შეუძლია. იბადება კითხვა: რანაირი იქნება ეს ახალი ურთიერთობა?

რუსეთის ძველი პოლიტიკური პარტიები ფედერატიულ რესპუბლიკას ეტრფიან, რომლის კონსტიტუცია—სრულიად რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ უნდა შეიმუშაოს. რუსეთის აღდგენას ძველი გზით, მოსკოვიდან ელიან. თუ ამ ხალხს დაუჯერებთ, ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა და ვერც მომავალი ხანგრძლივი ანარქიის პერსპექტივა იწვევს მა ი ძველი პოლიტიკური კომბინაციებისა და საალმშენებლო გეგმის ცვლილებას. ეს დრომოჭმული აზროვნობაა, ეს მკვდრების ცოცხლებათ გასაღებაა. ომმა ერთა შორის ახალი ურთიერთობა წარმოშვა. ჩვენ ვხედავთ, რომ შეიქმნა ხალხთა ლიგა, რომელიც მართალია ამ ჟამათ სუსტია,

მაგრამ ის დემოკრატიის ზრდასთან ერთად ძალღონეს იკრეფს და გავლენიანი ფაქტორი ხდება. და აი მას თავს აფარებენ ახლათ წარმოშობილი სახელმწიფონი (ფინლიანდია, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა). ჩვენს თვალს წინ ბრიტანეთის იმპერია ახალ საფუძველზე ეწყობა. ეს არის არსებითად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირი. ამიტომაც დომინიონების (თვითმართველი კოლონიები) ურთიერთობა მეტროპოლიასთან «ბრიტანეთის ხალხთა ლიგათ» მონათლეს. დღესვე რასაკვირველია შეუძლებელია გათვალისწინება, რანაირ ფორმებში ჩამოესხმება ველიკოროსიის ურთიერთობა უკრაინაბელორუსიასთან ან ყაზახთა ოლქებთან, ციმბირთან და სხვ. შესაძლებელია ბევრმა ახლათ წარმოშობილმა სახელმწიფომ აირჩიოს ბალტიის სახელმწიფოთა და ჩვენი გზა—ევროპასთან პირდაპირი კავშირი ხალხთა ლიგის მფარველობის ქვეშ. შესაძლებელია მეორე გზაც. ეს ახალი სახელმწიფონი შეთანხმდენ და თავისებური კავშირი შექმნან ან კონფედერაცია მოაწყონ. მაგრამ რაც უნდა მოხდეს, ერთი აშკარაა: ველიკოროსიამ და მით მოსკოვმა და პეტროგრადმა ხელმძღვანელი როლი დაკარგეს. მოსკოვი მოკვდა როგორც ეკონომიური ცენტრი და მაშ უნდა გამოეთხოვოს პოლიტიკური ხელმძღვანელის როლს. მართლაც მოსკოვი და მისი რაიონი ცხოვრობდა საფეიქრო წარმოების განვითარებით. ის ამუშავებდა თურქესტანიდან და კავკასიიდან მოტანილ ბამბას და ბატონობდა განაპირა ქვეყნების კოლონიალური გაძარცვით. ამას უკვე ბოლო ეღება. ხდება ის, რაც ჩვენ დავინახეთ ავსტრიასა და ვენაში. უმთავრესი ეკონომიური და მით პოლიტიკური ფაქტორი შეიძლება გახდეს უკრაინა და სწორეთ მისი ორიენტაცია გადასწრის ველიკოროსიის მომავალსაც და განსაზღვრავს აგრეთვე ყაზახთა რესპუბლიკების ბედსაც.

რაც ადრე შეიგნებენ რუსეთის პოლიტიკური მოღვაწენი მომხდარ ცვლილებას, ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრების გამოცვლას და შესაფერათ თავის ახალ პოლიტიკას შეცვლიან, მით უკეთესი მათთვის და რუსეთისთვის. ამ შემთხვევაში ისინი ხელს აიღებენ ბოლშევიკების იმპერიალისტურ პოლიტიკაზე თვითგამორკვეულ ერებისა და ოლქების მიმართ, გამოეთხოვებიან განთავისუფლებული ხალხების ოპეკას და გააკეთებენ იმ საქმეს, რაც მათი ისტორიული ვალია. ეს არის ველიკოროსიის ხალხის გათვითცნობიერება და დარაზმვა ველიკოროსიული სახელმწიფოს მოწესრიგება. ამის შემდეგ ისინი შედარებით ადვილათ მოახერხებენ ყოფილ იმპერიის საზღვრებში შექმნილ ახალ სახელმწიფოებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას ან პირდაპირი მოლაპარაკებით, ან ხალხთა ლიგის მონაწილეობით ან და მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის ჩარევით, როცა საქმე სოციალისტურ მთავრობებს ეხება. სხვა გზა იქნება გზა შიშველი იმპერიალიზმის და დამთავრდება ველიკოროსიის საბოლოო ეკონომიური განადგურებით და პოლიტიკური დაცემით.

ქართველმა ხალხმა რევოლიუციისა და ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რუსეთში 1917 წ. საკმაო გაკვეთილი მიიღო, ხოლო რუსეთის ჯარების ოკუპაციამ საბოლოოთ გამოაშკარავა ქართველი ერის ურყევი გადწყვეტილება თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრება რუსეთისაგან სრულიად დამოუკიდებლათ მოაწყოს. ის მტკიცეთ დარწმუნდა, რომ საქართველოს და აგრეთვე კავკასიის ინტერესები მოითხოვენ როგორც ოსმალეთის, ისე რუსეთის ბატონობის სრულ უარყოფას. ქართველი ხალხისთვის რუსეთის ორიენტაცია ისევე მიუღებელი შეიქნა, როგორც მიუღებელი იყო ოსმალეთის ბატონობა. ამიერიდან ქართველი ხალხი არას შემთხვევაში არ გადაუხვევს იმ ისტორიულ გზას, რომელიც მან თავისუფლათ აირჩია 26 მაისს 1918 წელს. ახლო მომავალში თვით რუსეთიც იძულებული გახდება საბოლოოთ იცნოს ისტორიული აუცილებლობა და ქართველი ერის სახელმწიფოებრივი უფლებანი საბოლოოთ დაადასტუროს.

ნ. რამიშვილი.